



7 ივნისი, 2018



ხუთშაბათი, №6 (2221)

„ეიფელის ბრწყინვალის“ სტიპენდიის სტიპენდიის ლაურეატი თსუ-დან



2018 წლის „ეიფელის ბრწყინვალის“ სტიპენდიის ლაურეატი თსუ-ის სტუდენტი გვანცა გვანიძე გახდა. გვანცა სწავლას მაგისტრატურის საფეხურზე სტრასბურგის უნივერსიტეტში სამართლის მიმართულებით განაგრძობს.

„ეიფელის ბრწყინვალეა“ არის საფრანგეთის ევროპისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს დაწესებული სტიპენდია, რომელიც საფრანგეთის უმაღლეს სასწავლებლებს საშუალებას აძლევს მოიზიდონ საუკეთესო უცხოელი სტუდენტები სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად.

„სწავლას ახალი სასწავლო წლიდან სტრასბურგის უნივერსიტეტში, სამართლის ფაკულტეტზე, კერძოდ, საერთაშორისო და ევროპული სამართლისა და ადამიანის უფლებების სამაგისტრო პროგრამაზე განვაგრძობ. განათლების ხარისხისა და, ზოგადად, ამ სფეროსადმი საფრანგეთში არსებული მიდგომების გათვალისწინებით, იმედი მაქვს, მაქსიმალურ ცოდნასა და გამოცდილებას მივიღებ“, — ამბობს გვანცა.

რითი იზიდავდა საზოგადოებას საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავისათვის მოწყობილი საუნივერსიტეტო ხუთხა



26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლის იუბილე ასწლოვანმა პირველმა ქართულმა უნივერსიტეტმა სხვადასხვა ღონისძიებებით აღნიშნა — პირველი გიმნაზიის მიმდინარე ტერიტორიაზე საგამოფანო სივრცე მოეწყო, სადაც თსუ-ის დაფუძნების, პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიისა და 1918-1921 წლების განათლების სისტემის ამსახველი დოკუმენტები და ფოტოგრაფიები იქნა წარმოდგენილი; არქეოლოგიური გათხრების ინიციატივა განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა გავრცელების, ასევე, მათთვის მუშაობდა საგამოფანო ლაზარეტი — „სახალისო ქიშია“, დამთავალიერებლად სუბილქოთ ენახათ ვირტუალური რეალობა, მიწვევების მუშაობის უნიკალური კოლექციის, თსუ-ის არქეოლოგიურ ექსპედიციებში აღმოჩენილი არტიფაქტები.

83. 6

ნომერი

თანამშრომლობის მემორანდუმი თსუ-სა და „გეობლანტს“ შორის

83. 2

- ქართული და ამერიკული სამართლის სისტემების ძირითადი ასპექტები 83. 2
- დასავლეთევროპის ენებისა და ლიტერატურის ინსტიტუტის კვირეული 83. 3
- ენათმეცნიერება საქართველოში 1918-1950 წლებში 83. 3

26 მაისი და უნივერსიტეტი

- ალბომის - „ნოუ ჟორდანია 150“ პრეზენტაცია 83. 8
- საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის ქრონიკები 83. 8

- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა პირველი რესპუბლიკის შემსწავლელ მთავარ კერად ჩამოყალიბდა 83. 9
- გამოფენა — „ქართული უნიკა“ 83. 10
- „დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე“ — ღონისძიებების ციკლი ეთნიკური უმცირესობის სტუდენტების მონაწილეობით 83. 11

ამერიკული ყაიდის პროფესორი თსუ-დან

83. 4

თანამშრომლობის მემორანდუმი თსუ-სა და „გეოპლანტს“ შორის

ოვანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და შპს „გეოპლანტს“ შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ხელი თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ და შპს „გეოპლანტის“ დირექტორმა მიხეილ ჭკუასელმა მოაწერეს.

„გეოპლანტის“ პროექტი „გურიელი რუსთაველის ქვეყნიდან“ კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას ეწევა. ჩვენი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია „ვეფხისტყაოსნის“ უნიკალური კოლექცია. ჩვენი პროფესორები ჩართულნი არიან პროექტში. ბევრ ენაზე იგეგმება სერიის გამოშვება; გერმანულ და უკრაინულ ენებზე პროექტი მალე გამოვა, ველოდებით იაპონურ და შორეული აღმოსავლეთის რამდენიმე ენაზე გამოშვებასაც. ჯერ ერთი, ეს არის ძალიან კარგი მაგალითი იმისა, თუ როგორ თანამშრომლობს უნივერსიტეტი ბიზნესთან, მომავალ პოტენციურ დამკვეთებთან და მეორე, როგორ ეხმარება ბიზნესი უნივერსიტეტს. მემორანდუმის თანახმად, გაყიდული კოლექციებიდან შემოსული გარკვეული თანხა მოხმარდება უნივერსიტეტის სტუდენტებს“ — განაცხადა თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.

მემორანდუმის ფარგლებში, მხარეების თანამშრომლობის მიზანია ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის და სამუზეუმო ღირებულების ნივთების მოძიება-შენახვა, ქვეყნის ეროვნული საგანძურის შევსება, გამრავალფეროვნება და მომავალი თაობებისთვის გაცნობა. მათ შორის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და „გეოპლანტი“, ითანამშრომლებენ



შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმებისა და შესაბამისი თარგმანების, რეპროდუქციების მოძიების კუთხით. „გეოპლანტი“, თავის მხრივ, მზაობას გამოხატავს ითანამშრომლობის უნივერსიტეტთან დასახული მიზნების მისაღწევად და კომპანიის მიერ წარ-

მოებული ჩაის რეალიზაციიდან შემოსული თანხიდან ნაწილი გადაიტანოს „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების“ საბანკო ანგარიშზე.

„პროექტი „გურიელი რუსთაველის ქვეყნიდან“ გაფართოვდა; გავაფორმეთ თანამშრომლობის მემორანდუმი თბი-

ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. მემორანდუმით გათვალისწინებული პროექტის შინაარსობრივი მხარე; მათ შორის, ტექსტუალური ნაწილის მოძიება სხვადასხვა ენაზე. ამჟამად, უნივერსიტეტთან ერთად, პროექტს ვახორციელებთ გერმანულ და უკრაინულ ენებზე. თანამშრომლობა გაგრძელდება მანამ, ვიდრე იარსებებს პროექტი. პროექტს აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა, ვინაიდან პროექტიდან მიღებული შემოსავლების ნაწილი უნივერსიტეტის განვითარების ფონდში ჩაირიცხება. შემოძლია თამამად ვთქვა, რომ უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე პროექტი „გურიელი რუსთაველის ქვეყნიდან“ თავისი განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა, სადაც გარწმუნებთ, რომ შესაძლებლობები, როგორც მისი შინაარსობრივი, ისე ბიზნესის თვალსაზრისით განუსაზღვრელია“, — აღნიშნა „გეოპლანტის“ დირექტორმა მიხეილ ჭკუასელმა.

მიხეილ ჭკუასელმა მემორანდუმის გაფორმების შემდეგ გერმანული და უკრაინული ვერსიების მომზადებაში განუული დახმარებისთვის თსუ-ის რექტორს გიორგი შარვაშიძეს, თსუ-ის უკრაინისტიკის ინსტიტუტის დირექტორს ოთარ ბაქანიძეს და რექტორის აპარატის და აკადემიური საბჭოს სამდივნოს უფროსს, გერმანიის მუხეჟალა აჭაიძეს საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების 100 წლისთავისთვის მიძღვნილი საიუბილეო გამოშვების ჩაი „პრინცი გურიელი“ გადასცა.

თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

სტუდენტები

ქართული და ამერიკული საპარტოლის სისტემების ძირითადი ასპექტები

14 მაისს თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტს სტუმრად ეწვია მინესოტას შტატის უზენაესი სასამართლოს მოსამართლე (1994-2013 წწ.) პოლ ანდერსონი. ბატონო პოლი მინესოტას შტატში მოსამართლის უფლებამოსილებას 1992 წლიდან ახორციელებდა. უზენაეს სასამართლომდე, 1992-1994 წლებში, იგი გახლდათ სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე. ბატონო ანდერსონი არის მრავალი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების ავტორი. ამერიკელი იურისტების მოსაზრებით, მისი მოღვაწეობის დასასრული მინესოტას შტატის უზენაეს სასამართლოში ერთ-ერთი დიდი ეპოქის დასასრულს ნიშნავს. მისი მოღვაწეობის პერიოდში იგი იყო უზენაესი სასამართლოს ორ ყველაზე ლიბერალ მოსამართლეს შორის. მისი კარიერული ბიოგრაფია სამაგალითოა ქართველი იურისტებისთვის. პოლ ანდერსონი სტუმრობის დღეს უნივერსიტეტის პირველ კორპუსში გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიზნად ისახავდა ქართული და ამერიკული საპარტოლის სისტემების ძირითადი ასპექტების წარმოჩენას, შედარებასა და განზოგადებას. კონფერენციის ჩატარების ინიციატივა ეკუთვნის თავად სტუმარს და უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის მიმართულების ხელმძღვანელს ქალბატონ მაია ივანიძეს. ნიშანდობლივია, რომ ამერიკელი მოსამართლის ჩამოსვლა უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს დაემთხვა. კონფერენცია წარმომადგენლობითი ხასიათის იყო. მას ესწრებოდნენ უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი და სტუდენტები, ასევე პრაქტიკოსი იურისტები.

კონფერენცია გახსნა ქალბატონმა მაია ივანიძემ. კონფერენციის მისასალმებელ სიტყვაში მან ისაუბრა უნივერსიტეტის და იურიდიული ფაკულტეტის დაარსების ისტორიაზე, უნივერსიტეტის არსებობის მთავარ ამოცანაზე, ფაკულ-



ტეტის განვითარების ეტაპებზე და ა.შ. ქალბატონ მაიას ეკუთვნის ამავე კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენება „ქართული სისხლის სამართლის განვითარების ტენდენციები“, რომლის ფარგლებშიც მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ქართულ სისხლის სამართალში ბრალის ცნება ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნეში იყო დამუშავებული. იგი შეეხო მე-12 საუკუნეს, როდესაც ადამიანის თანასწორობის საკითხი უმაღლეს რანგში იქნა აყვანილი. მოხსენებაში იგი შეეხო „წოდებათა თანასწორობის საკითხს“, რომელიც წამოწვეულია ქართველი საზოგადო მოღვაწის, მწერლის, იურისტის ილია ჭავჭავაძის მხატვრულ და პუბლიცისტურ ნაწარმოებებში. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით გაშუქებული იქნა დანაშაულისა და სასჯელის ცნებები. ყურადღება გამახვილდა ისეთ მნიშვნელოვან პერიოდზე, როდესაც მოღვაწეობდა ქალბატონი თინათინ წერეთელი და რომლის ფუნდამენტური გამოკვლევა, მიზეზობრივი კავშირის შესახებ საკითხების წრით და კვლევა-ძიების მასშტაბით, შეუძარებელია. ქალბატონმა მაიამ, ასევე, გააშუქა თანამედროვე სისხლის სამართლის პოლიტიკის ძირითადი ტენდენციები.

მოხსენება თემაზე — „მართლმსაჯულების დამოუკიდებლობა“ წარმოდგინა პოლ ანდერსონმა. მან აღნიშნული თემა შეარჩია საქართველოში მისი აქტუალობიდან გამომდინარე, რადგან ჩვენს ქვეყანაში ამ კუთხით სწორედ ამჟამად მიმდინარეობს რეფორმები. ეს თემა, ასევე, აქტუალურია ამერიკის შეერთებულ შტატებში, რადგან უკვე დამკვიდრებული პრაქტიკა და ტრადიციები ახალი პრეზიდენტის მმართველობის პერიოდში გამოწვევების წინაშეა. მან ისაუბრა, რომ მართლმსაჯულების სისტემა ეკუთვნის ყველა მოქალაქეს. „მართლმსაჯულების მიმდინარეობისას ყველაზე მთავარია სასამართლოს მიუკერძოებლობა. სასამართლო თავისუფალი უნდა იყოს ყველაწინააღმდეგარსად. მოსამართლემ საქმე უნდა გადაწყვიტოს მხოლოდ ფაქტებზე და კანონზე დაყრდნობით. დამოუკიდებელი მართლმსაჯულება ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია. სასამართლო თავისი ძალაუფლება გონივრულად და დიდი სიფრთხილით უნდა გამოიყენოს. მას აქვს ხალხის ნდობა, რომ მიიღებს სწორ გადაწყვეტილებას. ეს ნდობა კი მოსამართლემ აუცილებლად უნდა გაამართლოს“, — აღნიშნა მან.

კონფერენციაზე ინგლისურ ენაზე მოხსენება წარმოადგინა ფაკულტეტის მონვეულმა ლექტორმა და დოქტორანტმა თამარ მახაროლიძემ თემაზე — „არასრულწლოვანთა სასჯელები ქართული კანონმდებლობის მიხედვით“. მკვლევარმა საკითხი შეარჩია იქიდან გამომდინარე, რომ ბატონო პოლი სპეციალიზებული მოსამართლე იყო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში და მას მოზარდების არაერთი საქმე განუხილავს. საქართველოში განხორციელებული მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის მოვლენებმა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნის აუცილებლობა განაპირობა. 2015 წლის 12 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომლის ძირითადი ნაწილი 2016 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა. „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა ახალი, უფრო ლიბერალური ხედვები შემოგვთავაზა, მათ შორის სასჯელების კუთხით. კოდექსით თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივებია შემოთავაზებული — ჯარიმა, შინაპატიმრობა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა. ეს რეალობა ნათლად დაგვანახებს, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების მიმართ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ლიბერალურია“, — აღნიშნა თამარ მახაროლიძემ.

მოხსენებელი, ასევე, შეეხო პრობლემურ საკითხებს, რომელთა განზოგადება და დახვეწა ხელს შეუწყობს აღნიშნული კოდექსის სრულყოფას, ამისთვის კი საჭიროა განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, მათ შორის, ამერიკის შეერთებული შტატების.

წარმოდგენილ თემებთან მიმართებით აუდიტორიამ მოისმინა ბატონი პოლ ანდერსონის შეფასებები. ღონისძიება დისკუსიით დასრულდა.



წელი საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან

26 მაისი და უნივერსიტეტი

რითი იზიდავდა საზოგადოებას საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავისათვის მოწყობილი საუნივერსიტეტო ხუთხა

1 გვ-დან

ნატო ობოლაძე

„ვაჩვენებთ რამდენიმე სახალისო ექსპერიმენტს, მაგალითად, როგორ იღებენ სისხლს კინოინდუსტრიაში; ექსპერიმენტს — სახელად „ეგვიპტური ლამე“; სხვადასხვა საინტერესო ტუტეების, მჭავებების შერევის პროცესს... ფერების ცვლა ბავშვებს იმდენად მოსწონთ, რომ მარაგი თითქმის გამოგველია“, — გვითხრა სან დიეგოს უნივერსიტეტის სტუდენტმა სოფიკო მალაყელიძემ.

„მინერალოგიის კუთხით უნივერსიტეტს სულ 7 000 ნიმუში აქვს, აქ მათი ნაწილი წარმოვადგინეთ“, — აღნიშნა გეოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ბეჟან თუთბერიძემ.

„პატარა დამთვლიერებლები უფრო ქვიშით ინტერესდებიან, ძალიან ერთობიან „იმიტირებული არქეოლოგიური გათხრების“ პროცესით, სილამაზის მხრივ კი ინტერესს მინერალოგიის მუზეუმის გამოფენა იწვევს“, — გვითხრა ასისტენტ-პროფესორმა მარიამ ახალკაციშვილმა.

„ყველა მსურველს ვირტუალურ სამყაროში ვამოგზაურებთ, ვანახებთ რა შესაძლებლობები აქვს ნანოტექნოლოგიებს“, — აღნიშნა თსუ-ის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის მთავარმა სპეციალისტმა ირინე ჭონქაძემ.



თსუ-მ დამთვლიერებლებს შესაძლებლობა მისცა კლდეზე ცოცვის „აი-ია“-საც გასცნობოდნენ. ამისათვის სპეციალური ადგილი თსუ-ის საგამოფენო სივრცისგან შედარებით მოშორებით, სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიის“ მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო. ეს ღონისძიებაც სიმბოლური გახლდათ, რადგან ქართული ალპინიზმისა და საუნივერსიტეტო სპორტის ისტორია თსუ-ის კლუბ „შევარდენით“ იწყება.

26 მაისს გამოვლინდა ინტელექტუალური და აქტიური შემეცნე-

ბით-სათავგადასავლო თამაშში — City Game გამარჯვებული გუნდები. თამაში საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით გაიმართა. ორდღიანი ინტელექტუალური თავგადასავლის განმავლობაში თითოეულმა ჯგუფმა 26 შეკითვავზე პასუხი მოიძია და 26 სახალისო დავალება შეასრულა. სათავგადასავლო თამაშის (City Game) გამარჯვებულები თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ დააჯილდოვა.

„წელს საინტერესო თამაში გვეკონდა, 100-ზე მეტმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა. პირველ ადგილზე გავიდა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის გუნდი, მეორეზე კი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის გუნდი. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ ფულადი და სხვადასხვა სახალისო ნამახალისებელი საჩუქრებით.

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით თსუ-მ თარგმნა და გამოსცა 6 საინტერესო წიგნი, რომელიც პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიას ასახავს, ასევე წარმოვადგინეთ გამოფენა, სადაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების პირველი ვერსია, პირველი პროფესორის შესახებ ინფორმაციაა წარმოდგენილი



და ა.შ. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის პირველი წესდების მთავარ პრინციპებად აღიარებულია აკადემიური თავისუფლება და უნივერსიტეტის ავტონომია, რაც დღესაც ძალიან თანამედროვედ უღერს. საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა კი იყო მრავალპარტიული დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც ეროვნულ ფასეულობებზე იდგა, ამიტომაც იყო მიუღებელი საბჭოთა ისტორიოგრაფებისთვის და გვეუბნებოდნენ, რომ პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა იყო მენშევიკური პროექტი“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.

„ამ ორი დღის განმავლობაში ბევრნაირი ემოცია განვიცადეთ სიხარული, წარმატება, იმედგაცრუება... მაგრამ გამარჯვების ემოციამ ყველაფერი გადაფარა. თამაში თავგადასავლებით იყო სავსე და ბევრი რამ გავიგეთ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ“, — აღნიშნა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტმა ნინო ფურცხვანიძემ.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის 100 წლის იუბილზე ასწლოვანი უნივერსიტეტის საგამოფენ-



26 მაისი და უნივერსიტეტი

წელი
საქართველოს პირველი
დემოკრატიული რესპუბლიკის
დაარსებიდან

რითი იზიდავდა საზოგადოებას საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავისათვის მოწყობილი საუნივერსიტეტო ხუთხა

გა-6 გვ-და6

ნო სივრცე ხელისუფლების წარმომადგენლებმაც დაათვალიერეს.

„სიმბოლურია, რომ საქართველოს პირველ დემოკრატიულ რესპუბლიკასა და პირველ ქართულ უნივერსიტეტს 100 წელი შეუსრულდა. 100 წლის წინ ჩვენმა წინაპრებმა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღეს, რომ საქართველო დაბრუნებოდა თავის ევროპულ წიაღს. ბუნებრივია, ამ ყველაფერში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა თავისი უნიკალური როლი შეასრულა. სამწუხაროდ, საბჭოთა ოკუპაციამ არ მისცა საშუალება, რომ ეს მისია ბოლომდე შეესრულებინათ. ახლა ეს ვალდებულება ჩვენს თაობას აკისრია, უნდა გავზარ-

უფროსია. მინდა, მივულოცო ყველა უნივერსიტეტელსა და სრულიად საქართველოს. წარმატებული ქვეყნის წარმატებული მოქალაქეები ყოფილიყავით“, — განაცხადა თსუ-ის პროფესორმა, საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარემ ნოდარ ხადურმა.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ქეთევან ციხელაშვილი თსუ-ის საგამოფენო სივრცის დასათვალიერებლად საოკუპაციო საზთან მცხოვრებ ბავშვებთან ერთად მივიდა.

„ჩვენ, რა თქმა უნდა, გავაგრძელებთ ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მშვიდობიანი, შერიგების თანმიმდევრული პოლიტიკით. სრულიად დარწმუნებული ვარ, მომავალში ბევრ 26 მაისს



დღით ისეთი თაობები, რომლებიც თავისუფლების იდეას ბოლომდე მიიყვანენ“, — განაცხადა საქართველოს ფინანსთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ.

„ორი 100 წელი — 100 წელი თსუ-ის დაფუძნებიდან და 100 წელი საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამოუკიდებლობიდან — მართლაც, მნიშვნელოვანი თარიღებია. განსაკუთრებით ამაყი ვარ იმით, რომ ჩვენი უნივერსიტეტი თანამედროვე საქართველოზე სამი თვით

შევხვდებით, როგორც ერთიანი ქვეყანა, და სრულად შევიგრძნობთ თავისუფლებას. ეს ბავშვები სკოლის მოსწავლეები არიან და, უპირველესად, განათლება აინტერესებთ, ამიტომაც მოვედით თსუ-ის გამოფენაზე. მათ უნდა ნახონ - რა სახალებს სთავაზობს უნივერსიტეტი, რადგან ყველაზე სწორი ინვესტიცია — ხარისხიანი განათლებაა“, — განაცხადა ქეთევან ციხელაშვილმა.

„განათლებისა და მეცნიერების განვითარების გარეშე დამოუკიდებ-

ლი და სრულყოფილი სახელმწიფოს შექმნა შეუძლებელია. მინდა, იმედი გამოვთქვა, რომ ამ ვექტორით განვითარდება საქართველო მომავალი 100 წლის მანძილზე“, — ეს კი, 26 მაისს, შვედეთის ლუნდის უნივერსიტეტის პროფესორმა, ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების ხელმძღვანელმა ზაალ კოკაიამ განაცხადა და თსუ-ის მიმართ საკუთარ დამოკიდებულებაზეც ისაუბრა.

„ჩემი ადგილი თუ არის საქართველოში, ჩემი ადგილი ასევე არის

უნივერსიტეტში, რადგან თსუ ჩემი ალმა მატერია, აქ ჩამოვყალიბდი როგორც პიროვნება, როგორც მეცნიერი. ყველაფერი, რასაც ვაკეთებ და გავაკეთებ, მინდა დაუკავშირო უნივერსიტეტს. ჩემი გამოცდილებისა და კომპეტენციის ფარგლებში ყოველთვის ვცდილობ, დავუბრუნო ის, რაც მისგან მივიღე“, — აღნიშნა ზაალ კოკაიამ.

26 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამოფენო სივრცე ამბროლაურშიც მოეწყო.





26 მაისი და უნივერსიზმი

ალბომის – „ნოე ჟორდანი 150“ პრეზენტაცია

თამარ ლალიანი

1918 წლის 26 მაისს ქართული სოციალ დემოკრატიის ერთ-ერთმა დამაარსებელმა და ლიდერმა ნოე ჟორდანიამ ქართველ ერსა და მსოფლიოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა ამცნო. ქართულმა ეროვნულმა საბჭომ დამოუკიდებლობის გამოცხადება სწორედ მას ანდო, როგორც საბჭოს აღიარებულ ლიდერსა და თავმჯდომარეს. ამ ფაქტიდან უკვე 100 წელი გავიდა.



რეჯებ ჟორდანი



სადღესასწაულო თარიღთან და ნოე ჟორდანიას დაბადებიდან 150 წლის იუბილესთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და ნოე ჟორდანიას ინსტიტუტმა ალბომის — „ნოე ჟორდანი 150“ პრეზენტაცია გამართა. ქართულ-ინგლისურ-ფრანგულ-გერმანული ალბომი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მომზადდა და ნოე ჟორდანიას ინსტიტუტის მხარდაჭერით დაისტამბა. ალბომის ავტორ-შემდგენლები არიან ირაკლი ირემაძე, დიმიტრი სილაქაძე და სალომე ჭანტურიძე. გამოცემის რედაქტორია ზურაბ გაიპარაშვილი.

თქმით, „სიმბოლურია, რომ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებიდან 100 წლისთავზე გამოდის ალბომი, რომელიც საქართველოს ისტორიის სწორედ ამ უმნიშვნელოვანეს თარიღსა და გამორჩეულ პოლიტიკურ მოღვაწეს ეძღვნება. 100 წლის წინ ევროპაში გვექონდა ერთ-ერთი ყველაზე დემოკრატიული სახელმწიფო. დემოკრატიულობის ხარისხს აღიარებდა არა მარტო ქართველი ერი, არამედ მსოფლიოს წამყვანი პოლიტიკოსებიც. სასიხარულოა, რომ ბოლო პერიოდში აქტიურად ხდება იმ პოლიტიკური პროცესების შესწავლა, რომელიც პირველ დემოკრატიულ რესპუბლიკაში მიმდინარეობდა.

არ იყო, ამიტომ საზოგადოებას პირველი აკაკი ჩხენკელი მიესალმა, რომელიც ნოე ჟორდანიას თანამებრძოლი და უნივერსიტეტის დამფუძნებელთა საბჭოს თავმჯდომარეც გახლდათ. ასე დაიწყო უნივერსიტეტისა და იმ ცნობილი ადამიანების ურთიერთობა, რომლებმაც შემდეგ ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მაშინდელი ხელისუფლების განსაკუთრებული მხარდაჭერით სარგებლობდა. როგორც ნამდვილ, ჭეშმარიტ და დემოკრატიულ ხელისუფლებასა და მთავრობას ახასიათებს, იგი ითვალისწინებდა უნივერსიტეტის უმთავრეს პრინციპს — ავტონომიას და აკადემიურ თავისუფლებას. ეს იყო მნიშვნელოვანი, პრინციპული ურთიერთობა და თანამშრომლობა მაშინდელ ხელისუფლებასა და უნივერსიტეტს შორის“, — განაცხადა ზურაბ გაიპარაშვილმა. მან, ასევე, ხაზი გაუსვა ისტორიის იმ მონაკვეთის სიღრმისეულ შესწავლას, როცა ფეხს იდგამდა პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა.

ფორმაციის დამალვით ფაქტების დამახინჯების ერთ-ერთი მთავარი საშიშნე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერი ნოე ჟორდანი იყო“, — ვკითხულობთ ალბომის შესავალში. ნოე ჟორდანიას შვილის რეჯებ ჟორდანიას თქმით, საქართველო ძალიან დიდხანს აღნიშნავდა დამოუკიდებლობის დღეს, თუმცა იმ ხალხს, ვინც დამოუკიდებლობა მოიპოვა, არავინ ახსენებდა. „დიდი ხნის დუმილის შემდეგ, ახალგაზრდა მკვლევრებმა გამოიჩინეს ინტერესი პირველი რესპუბლიკის მიმართ და მათ მიერ განხორციელებული შედეგად აღიარდა იმ ხალხის მნიშვნელობა, რომლებმაც 1918 წელს ახალი საქართველო შექმნა, პირველ რიგში, მამაჩემის მეთაურობით“, — აღნიშნა რეჯებ ჟორდანიამ.

ალბომში თავმოყრილია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის, ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებლისა და ლიდერის ნოე ჟორდანიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტოები, დოკუმენტები და წერილები; მთავრობის თავმჯდომარეობისას მის მიერ გამოცემული ბრძანებები; ასევე, ეროვნული საბჭოს, პარლამენტის, დამფუძნებელ კრებებზე, მთავრობისა თუ პარტიის სხდომებზე წარმოთქმულ სიტყვათა ჩანაწერები, პუბლიცისტური და პირადი წერილები. ამ გამოცემის საშუალებით მკითხველი შეიტყობს XX საუკუნის დასაწყისის გამორჩეული პოლიტიკოსის პირადი, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვან დეტალებს.

ალბომში ასახულია ნოე ჟორდანიას პოლიტიკური საქმიანობა რესპუბლიკამდე და რესპუბლიკის პერიოდში, სადაც, ძირითადად, წარმოდგენილია მთავრობის თავმჯდომარეობის პერიოდში გამოცემული ბრძანებები და მოხსენებები, ასევე მისი პოლიტიკური საქმიანობის ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტები. „ქართულ, ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულენოვან მკითხველებს ამ ალბომის საშუალებით შეუძლიათ გაეცნონ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურის ბიოგრაფიას და მათ პოლიტიკურ საქმიანობას“, — აღნიშნა ალბომის ერთ-ერთმა შემდგენელმა ირაკლი ირემაძემ.

ისტორიის ერთ-ერთი გამორჩეული პოლიტიკოსის ნოე ჟორდანიას ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე დიდი ხნის მანძილზე საპირისპირო აზრი, საპირისპირო დასკვნები კეთდებოდა, რაზეც გავლენას საბჭოთა იდეოლოგია ახდენდა. „საბჭოთა ტოტალური რეჟიმი მთელი არსებობის განმავლობაში მალავდა ან პროპაგანდისტული ხერხებით, დისკრედიტაციის მიზნით, ავრცელებდა ინფორმაციასა და ცნობებს როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური სისტემის, რეფორმებისა და მიღწევების შესახებ, ასევე რესპუბლიკის დამფუძნებლებზე. საბჭოთა რეჟიმი განსაკუთრებით ამახინჯებდა და ჩქმალავდა ინფორმაციას სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკოსის შესახებ. რაღა თქმა უნდა, ამგვარი დისკრედიტაციისა და ჭეშმარიტი ინ-

ფორმაციის დამალვით ფაქტების დამახინჯების ერთ-ერთი მთავარი საშიშნე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერი ნოე ჟორდანი იყო“, — ვკითხულობთ ალბომის შესავალში. ნოე ჟორდანიას შვილიშვილმა ქალბატონმა ქრისტინე ფალავა-ბუღლევმა მადლობა გადაუხადა ალბომის შემდგენლებს და საზოგადოებას გააცნო ეროვნული საბჭოს იმ კრების ოქმი, სადაც საბჭოს თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი წარმოადგინა: „საზოგადოებისათვის ცნობილია დამოუკიდებლობის აქტი, მაგრამ არსებობს ოქმიც, სადაც წერია: იხსენება ეროვნული საბჭოს კრება, საბჭოს თავმჯდომარე ნოე ჟორდანი წარმოადგენს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს: კრება და იქ დამსწრე საზოგადოება ამ აქტს ფეხზე მდგომი ისმენს. აქტის წარდგინებას მოჰყვება ხანგრძლივი ოვაცია. ეროვნული საბჭო ერთხმად იღებს აქტს და ამტკიცებს მას უცვლელად. დაიბადა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა! გაუმარჯოს საქართველოს!“

ალბომის ავტორის, თსუ-ის „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემსწავლელი ცენტრი-ბიბლიოთეკის“ ხელმძღვანელის ირაკლი ირემაძის

პრეზენტაცია გახსნა თსუ-ის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა ზურაბ გაიპარაშვილმა, რომელმაც საინტერესოდ ისაუბრა იმაზე, თუ რა კავშირი არსებობდა მაშინდელ უნივერსიტეტსა და პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას შორის. „როდესაც ივანე ჯავახიშვილი პირველი უნივერსიტეტის გახსნის ცერემონიას გეგმავდა, გადაწყვეტილი ჰქონდა — პირველი მისასალმებელი სიტყვა ნოე ჟორდანიას ეთქვა, მაგრამ რადგან ნოე ჟორდანი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელბურის ქრონიკა

მაია ბორაძე

28 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით საზეიმო მიღება და ქართულ-ინგლისური ალბომის — „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის ქრონიკები“ — პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიებას ესწრებოდნენ თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე, საფრანგეთის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი საქართველოში პასკალ მენიე, საფრანგეთში ქართული სათვისტომოს პრეზიდენტი ოთარ ზურაბიშვილი, სათვისტომოს დელეგაცია და მონაწილე სტუმრები.



ალბომი — „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის ქრონიკები“ მოიცავს 1918 წლის 26 მაისიდან 1921 წლის 18 მარტამდე —

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციამდე პერიოდს. მასალები 1918-1921 წლების პერიოდული გამოცემებიდანაა მოძიებული. ალბომში წარმოდ-

გენილია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურული ცხოვრების ისტორია და მოვლენები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. მას ერთვით ფაქტების ამსახველი ფოტოები. ალბომში გამოყენებული მასალები დაცულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მუზეუმსა და შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის მუზეუმში. პრეზენტაციაზე მონაწილე სტუმრებს მიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვა-

26 მაისი და უნივერსიტეტი

წალი
საქართველოს პირველი
დემოკრატიული რესპუბლიკის
დაარსებიდან

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელახალი ქრონიკა

ა-8 გვ-და

შიძენ, რომელმაც აღნიშნა, რომ ეს არის მეოთხე წიგნი, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლის იუბილეს ფარგლებში გამოიცა. „უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან ინტენსიური მთარგმნელობითი და საგამომცემლო საქმიანობა გასწავლა ჩვენმა უნივერსიტეტმა, ბიბლიოთეკამ და მასთან არსებულმა პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის შემსწავლელმა ცენტრმა. „კულტურის ქრონიკები“ არის საინტერესო საინფორმაციო მასალა პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურული ცხოვრებისა. რაც შეეხება დანარჩენ გამოცემებს, ასევე მომზადდა ოთხენოვანი ალბომი ნოე ჟორდანიას შესახებ და ძალიან საინტერესო გამოკვლევა, რომელიც ნოე რამიშვილს ეძღვნება. გამოსაცემად ვამზადებთ კარლ კაუციკის წიგნს: „საქართველო: გლეხთა სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკა. შთაბეჭდილებები და დაკვირვებები“. ეს არის საჩუქარი, რომელიც ჩვენმა ახალგაზრდა მკვლევრებმა მიუძღვეს საქართველოს პირველი რესპუბლიკის 100 წლისთავს. მათი მუშაობის შედეგად აღმოჩნდა, რომ ჩვენ პირველ საკრებულოში გვყოლია არა 5, არამედ 6 ქალი და რომ მსოფლიოს ისტორიაში პირველად, სწორედ საქართველოს ჰყავდა პირველი მუსლიმი ქალი დელეგატი. ყველა დოკუმენტი ასახელებს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა იყო ძალიან ღია სისტემა, რომელიც სამაგალითო გახლდათ ძალიან ბევრი ევროპული ქვეყნისთვის“, — აღნიშნა გიორგი შარვაშიძემ.

თსუ-ის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა ზურაბ გაიპარაშვილმა ხაზი გაუსვა იმ კოლოსალურ სამუშაოს, რაც ბიბლიოთეკასთან არსებულმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემსწავლელმა ცენტრმა გასწავლა. „ეს არის ხანგრძლივი, ნაყოფიერი შრომის შედეგი ჩვენი ბიბლიოთეკარების და განსაკუთრებით, ცენტრის თანამშრომლის, სალომე ჭანტურიძის. ალბომში შევიდა იმდროინდელ პრესაში, არქივებში, მუზეუმებში მოძიებული მასალა და ფაქტობრივად, ანალიზის გარეშე, მშრალი ფაქტებით არის მოთხრობილი, თუ რა დიდი, ნაყოფიერი და საინტერესო კულ-



ტურული ცხოვრება იყო იმ სამი წლის განმავლობაში. ვფიქრობ, რომ ეს არის მსუყე მასალა შემდგომი კვლევებისთვის და მოვუწოდებ ჩვენს უნივერსიტეტს და სხვა მკვლევრებს, მეცნიერებსა და დოქტორანტებს, რომ ამ მასალაზე დაყრდნობით იმუშაონ და შექმნან სერიოზული სამეცნიერო სტატიები“, — აღნიშნა ზურაბ გაიპარაშვილმა.

პრეზენტაციას სტუმრობდა საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში პასკალ მენიე, რომელმაც აღნიშნა, რომ ალბომი ხაზს უსვამს დემოკრატიის მნიშვნელობას დღევანდელი საქართველოსთვის. „ჩვენი თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საფრანგეთი ყოველთვის მხარში ედგა საქართველოს გადამწყვეტ და რთულ მომენტებში. მადლობა მინდა მოვასხეხო ქალბატონ სალომე ჭანტურიძეს, რომელიც ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობას ყოველთვის მხარს უჭერდა. სწორედ მისი ჰელპისა და დახმარებით ალბომის პრეზენტაციაზე ვიმყოფებით. ჩვენი ურთიერთობის კიდევ ერთი დასტური არის ის, რომ საქართველოსა და საფრანგეთის მთავრობათა შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს ქართულ-ფრანგულ უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობას. ცოტა ხნის წინ შეიქმნა დიალოგის ჩარჩო, რომელსაც დაეარქვით „ამილახვარის დიალოგი“, იმ უდიდესი მოღვაწის პატივსაცემად, რომელიც კიდევ ერთხელ მოგვცემს საშუალებას, რომ გავაწყაროთ საფრანგეთ-საქართველოს ურთიერთობები. ეს დიალოგი წარმოადგენს ოთხი მიმართულებით: პოლიტიკა, უსაფრთხოება, ეკონომიკა და საგანმანათლებლო საკითხები. საფრან-

გეთი ყოველთვის მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას“, — აღნიშნა მან.

ლონისძიებზე მოწვეულ სტუმრებს მიესალმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ხათუნა თოთლაძე, რომელმაც მნიშვნელოვანი უწოდა ალბომის გამოსვლას და თსუ-ში ჩატარებულ საიუბილეო კვირეულს. „დღევანდელი ლონისძიება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწორედ ჩვენი დიასპორას წარმომადგენლების გამო, რომლებიც სპეციალურად წელს, ამ დღის აღსანიშნავად ეწვევნენ საქართველოს. ისინი არ კარგავენ კონტაქტს თავიანთ სამშობლოსთან და ეს კიდევ ერთხელ არის დასტური იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა ინარჩუნებს მჭიდრო კავშირს თავის ისტორიულ დიასპორასთან. მას დიდი წვლილი მიუძღვის იმ ფუნდამენტის ჩამოყალიბებაში, რომელმაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებას შეუწყო ხელი“, — აღნიშნა მან.

პრეზენტაციაზე სიტყვით გამოვიდნენ ასევე საფრანგეთში ქართველთა სათვისტომოს პრეზიდენტი ოთარ ზურაბიშვილი, ნოე ჟორდანიას შთამომავალი რეჯებ ჟორდანი, თსუ-ის პირველი სტუდენტის, ვანდა ლამბაშიძის შვილიშვილი ნათელა ნიკოლაძე, თსუ-ის ასოცირებული პროფესორი ნანა გუნცაძე, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პიმინი („დიდება“) ავტორის, კოტე ფოცხვერაშვილის შთამომავალი ცირა ბერიძე.

ალბომის — „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურული ქრონიკები“ — გამოცემაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის თსუ-ის ბიბლიოთეკის „საქართველოს დემოკ-

რატიული რესპუბლიკის შემსწავლელი ცენტრის“ თანამშრომელს სალომე ჭანტურიძეს, რომელმაც აღნიშნა, რომ დიდი პატივია, ალბომის გამოსვლა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლის იუბილესა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს ფარგლებში.

„წიგნი მომზადდა ჩემი და ჩემი თანამშრომლის ირაკლი ირემიაძის მიერ. ეს გახლავთ ფაქტები და მოვლენები, რომლებიც უკავშირდება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოველ დღეს. აქ მოცემულია 1028 დღის კულტურული ცხოვრება ანალიზის გარეშე, რომ არა ის პოლიტიკური თავისუფალი გარემო, რომელიც ქვეყნის მაშინდელმა ხელმძღვანელებმა შექმნეს, ჩვენი არ გვეჩვენოდა ასეთი მაღალი დონის კულტურული მემკვიდრეობა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საბჭოთა რეპრესიის პირობებში უამრავი ადამიანის არქივი განადგურდა. შესაბამისად, ალბომში მუშაობისას გაჩნდა ადამიანების ბიოგრაფიების მოძიების პრობლემები. ამიტომ, ძირითადად გამოვიყენეთ პერიოდული გამოცემები, რომლებიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდებშია დაცული. გარდა იმისა, ალბომს ერთვით ვიზუალური მასალა, რომლის შეგროვებაშიც დაგვეხმარა ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიისა და შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის მუზეუმები, ასევე ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდები. მათ მოგვანოდეს უნიკალური ფოტოარქივი, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობას უკავშირდება. დღეს ვდგავარ თქვენს წინაშე, თუმცა წიგნის შედგენასა და მომზადებაში არაერთი ადამიანი იყო ჩართული. მადლობა რედაქტორს — გიორგი ჯოსაძეს, მთარგმნელს — მარიონას ჭყონიას და ყველას, ვინც დღეს აქ იმყოფება. იმედია, დარწმუნდებით, თუ რამდენად დიდი მონაპოვარი გაგვჩნდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში“, — აღნიშნა თავის გამოცემაში სალომე ჭანტურიძემ.

„საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის ქრონიკები“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით მოამზადა.

გამოხმაურება


უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა პირველი რესპუბლიკის შემსწავლელ მთავარ ხარად ჩამოყალიბდა

2015 წლის ოქტომბერში თსუ-ის სენატის გადაწყვეტილებით, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ახალი სტრუქტურული ერთეული ჩამოყალიბდა. პირველი კორპუსის ერთ ორფანჯრიან, მყუდრო ოთახზე გაჩნდა წარწერა — „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემსწავლელი ცენტრი-ბიბლიოთეკა“. ინსტიტუტის შექმნას უმტიკივნივლოდ არ ჩაუვლია. ბევრმა უნივერსიტეტის საბჭოს გადამწყვეტილება გააპროტესტა კიდევ. სოციალური და პუმანიტარული მეცნიერების რიგი წარმომადგენლები მათთვის ჩამორთმეულ პრივილეგიაზე ალაპარაკდნენ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ პირველი რესპუბლიკის შესწავლა მხოლოდ მათი პერეოგაცივა უნდა ყოფილიყო. ცენტრის დაფუძნების მოწინააღმდეგეთა ნაწილმა ადმინისტრაციული ხარჯების გაზრდის ნეგატიურ შედეგებზე

გაამხვილა ყურადღება. სირთულეებისა და ხმაურის მიუხედავად, ცენტრმა მაინც დაიწყო თავისი მოვალეობების შესრულება.

2018 წლის 26 მაისს მთელმა საქართველომ პირველი რესპუბლიკის დაარსებისა და დამოუკიდებლობის გამოცხადების 100 წლის იუბილე აღნიშნა. საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის საინტერესო უნდა იყოს, თუ როგორ შეხვდა თსუ-ის წიაღში მოქმედი დანესებულება დასახელებულ თარიღს.

„საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემსწავლელი ცენტრი-ბიბლიოთეკა“ მხოლოდ 3 შტატიან თანამშრომელს აერთიანებს. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი პოლიტიკის მაგისტრი ირაკლი ირემიაძე გახლავთ. ბიბლიოთეკაში შეკრებილი უცხოენოვანი მასალების დამუშავებას ფრანგული ენის სპეციალისტი თათია ხეტაშვილი უძღვეს. ცენტრის კულ-



ტურულ და საორგანიზაციო მიმართულებას სათავეში უნივერსიტეტის დოქტორანტი სალომე ჭანტურიძე უდგას. დანესებულების მიერ შექმნილი ყველა პროდუქცია აღბეჭდილია თსუ-ის მთავარი ბიბლიოთეკარის ზურაბ გაიპარაშვილის შრომითა და ხელწერით.

აღსანიშნავია, რომ პირველი რესპუბლიკის შემსწავლელ წიგნთსაცავში ყოველ სემესტრში ორი საგანგებოდ შერჩეული სტუდენტი გადის სტაჟირების კურსს.

ცენტრმა არსებობის სამწლიანი პერიოდის განმავლობაში არაერთი პუბლიკაცია გამოაქვეყნა. ბიბლიოთეკის თანამშრომლების მონაწილეობით მომზადდა ტიერი ბერიშვილის ქართულ-ფრანგული წიგნი „ქართული სოციალ-დემოკრატია 1892-1953“. საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დააფინანსა კრებულის — „პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები საქართველოში“ გამოცემა. კრებული საქართველოს დამფუძნებელი კრების 1919 წლის არჩევნების შესახებ ბიბლიოთეკის მკვლევართა მიერ შეგრო-





26 მაისი და უნივერსიტეტი

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ჰიროვანი რესპუბლიკის შემსწავლელ მთავარ ხერხად გამოყალიბდა

89 გვ. 15

ვებულ მასალებს აერთიანებს. სამწვერიანი გუნდი ცალკე ბროშურით გამოცემულ საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ჩატარებულ პირველ საპარლამენტო სხდომასაც („საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების პირველი სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში კომენტარებით“).

თსუ-ის ბიბლიოთეკის ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობით მომზადდა ორი უმნიშვნელოვანესი ალბომი — „ნოე ჟორდანიას 150“ და „ნოე რამიშვილი“. გამოცემებში თავმოყრილია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთა საყოველთაოდ ცნობილი და უნიკალური, აქამდე გამოუქვეყნებელი ფოტოები, ბრძანებულებები თუ პირადი წერილები.

რამდენიმე კვირის წინ თსუ-ში გაიმართა ვლადიმერ ვოიტინსკის წიგნის ქართულენოვანი თარგმანის პრეზენტაცია. „ქართული დემოკრატია“ თითქმის ერთი საუკუნის წინ ევროპაში გამოცემული უმნიშვნელოვანესი ტექსტია. პუბლიკაცია აერთიანებს ცნობებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა ძირითადი პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუტის შესახებ. აქვე დაწვრილებით არის განხილული რესპუბლიკაში განვითარებული უმთავრესი მოვლენების ანატომია. ვოიტინსკის წიგნი წლების განმავლობაში საქართველოს უახლესი ისტორიის დასავლელი მკვლევრებისთვის მთავარ წყაროს წარმოადგენდა. ასწლიანი პაუზის შემდეგ გამოცემის შეფასების შესაძლებლობა ქართველ მკითხველსაც ეძლევა, რაც ასევე ცენტრის დამსახურებად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

რესპუბლიკის 100 წლის იუბილეს აღსანიშნავად ფრიდრიხ ებერტის ფონდის დაფინანსებითა და ცენტრის ინიციატივით პირველად ქართულად ითარგმნა მსოფლიო რანგის გერმანელი სოციოლოგის, კარლ კაუციუსის წიგნი „საქართველო: გლეხთა სოციალ-დემოკ-



რატიულ რესპუბლიკა. შთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი“. თსუ-ის სტამბაში დაიბეჭდა სალომე ჭანტურიძის მიერ შედგენილი ქართულ-ინგლისური გამოცემა — „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის ქრონიკები“.

ცენტრის ორგანიზებით ყოველწლიურად იმართება სტუდენტური კონფერენცია „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა: პიროვნებები, რეფორმები, მიღწევები და შეცდომები“. გარდა ამისა, თსუ-ის ბიბლიოთეკა თითქმის ყოველ თვეს მასპინძლობს პირველი რესპუბლიკის თემატიკასთან დაკავშირებულ გამოფენებს, საჯარო დისკუსიებსა და ლექციებს.

ცენტრში ინახება ქართული ემიგრაციის წარმომადგენლების — ტიერი ბერიშვილის, ქრისტინა ფალავა-ბუღეზისა და მიშელ რამიშვილის არქივები. მათ დაკუთმებული უნივერსიტეტს საჩუქრად პირველი რესპუბლიკის ცენტრის დაარსების შემდეგ გადასცეს.

თუმცა, „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემსწავლელი ცენტრი-ბიბლიოთეკის“ თანამონაწილეობით მომზადებული 3 მთავარი პროექტის შესახებ ჯერ არაფერი მითქვამს.

1) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ენციკლოპედია-ლექსიკონი — უკვე ორი წელია ირაკლი ირემაძის ხელმძღვანელობით მუშაობა მიმდინარეობს მასშტაბური ენციკლოპედიის შედგენაზე. თსუ-ის პროფესორებმა და დოქტორანტებმა, პირველი რესპუბლიკის მკვლევრებმა 1000-მდე ენციკლოპედიური სტატია მოამზადეს. ორტომეული აერთიანებს ცნობებს დემოკრატიული რესპუბლიკის საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოს წევრების, დიპლომატების, ხელოვნების სფეროს წარმომადგენლების, პედაგოგების, საქართველოსთან დაკავშირებული უცხოელების ბიოგრაფიების; მნიშვნელოვან მოვლენებისა და პროცესების, პოლიტიკური ინსტიტუტების, კანონებისა და რეფორმების შესახებ.

2) თსუ-ის ბიბლიოთეკის თანამშრომლების მონაწილეობით 2018 წლის 25-30 ივნისს შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ეროვნული ბიბლიოთეკის, ეროვნული არქივისა და ეროვნული მუზეუმის მხარდაჭერითა და თანადაფინანსებით გაიმართება უმნიშვნელო-

ვანესი სამეცნიერო ფორუმი „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გახსენება 100 წლის შემდეგ: მოდელი ევროპისთვის?“. ფორუმის მონაწილეთა შორის არიან სფეროსთან დაკავშირებული მსოფლიოში საუკეთესო მეცნიერები. ღონისძიებას დაესწრებიან პროფესორები მიჩიგანის, კალაგირის, მაინცის, პარიზის, კარლის, ნიუკასლისა და ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტებიდან. ფორუმის ფარგლებში გაიმართება ორდღიანი სამეცნიერო კონფერენცია და ოთხდღიანი საზაფხულო სკოლა, რომელშიც ქართველ სტუდენტებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ ოქსფორდის, კემბრიჯის, ჰუმბოლტის, ბერლინის, ჰელსინკის, ვარშავისა და ტალინის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები.

3) ცენტრის პარტნიორობითა და თბილისის მერიის ხელშეწყობით არასამთავრობო ორგანიზაცია „მომავლის სოფელი“ ახორციელებს პროექტს „სახალხო უნივერსიტეტი — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა“. პროექტის ფარგლებში პირველი რესპუბლიკის თემატიკასთან დაკავშირებით ოცდაათამდე საჯარო ლექცია გაიმართება.

ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ ჩამოთვლილი საქმეები თსუ-ის ბიბლიოთეკის მხოლოდ ერთი მცირერიცხოვანი განყოფილების დამსახურებაა. ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვსურს, რომ „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემსწავლელი ცენტრი-ბიბლიოთეკის“ გარეშე აღნიშნული პროექტების განხორციელება და ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირება ფაქტობრივად წარმოუდგენელი იქნებოდა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მისი ბიბლიოთეკა და ბიბლიოთეკის პირველი რესპუბლიკის შემსწავლელი ცენტრი დამოუკიდებლობის გამოცხადების 100 წლის იუბილეს ყველაზე მომზადებულად და განსაკუთრებით მაღალი აკადემიური სტანდარტით ეგებება.

დავით მჭედლიძე, თსუ-ის სტუდენტი

გამოფანა — „ქართული უნია“



ოვანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფანა — „ქართული უნია“ გაიხსნა.

გამოფანა წარმოადგენს ქართული ბონისტიკური და ფილატელისტური ძეგლების უნიკალურ ექსპოზიციას, ისტორიული და კულტურული არტეფაქტების კოლექციას, რომელშიც

თავმოყრილია საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდში გამოშვებული ქალაქის ფულადი ნიშნების, ბანკოტეტების და მარკების ყველა ნომინალი, მათი ცნობილი სახესხვაობები, მათ შორის, რარიტეტული ნიმუშები.

ღონისძიებას თსუ-ის რექტორის მოადგილე ალექსანდრე ცისკარიძე, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი ზურაბ გაიპარაშვილი, კოლექციონერი, თსუ-ის კურსდამთავრებული მიხეილ გოგო-



ტიშვილი, სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები ესწრებოდნენ.

„გამოფანაზე წარმოდგენილი ბონებისა და მარკების ავტორები იმხანად ცნობილი მხატვრები იყვნენ; მათ შორის გამოფენილია დიმიტრი შევარდნაძის ნამუშევრები. ვფიქრობ, ეს ღონისძიება მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს იმ ღონისძიებებს შორის, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში ჩვენს უნივერსიტეტში მიმდინარეობს“, — აღნიშნა ალექსანდრე ცისკარიძემ.

კოლექციონერმა მიხეილ გოგოტიშვილმა გამოფანაზე წარმოდგენილი ექ-

სპოზიციის ნაწილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს საჩუქრად გადასცა. „ქართული ქალაქის ფულის ისტორიისა და თეორიის შესწავლის საქმეში თბილისის უნივერსიტეტისა და მისი დამფუძნებლის ივანე ჯავახიშვილის ძალიან დიდი ღვაწლია. ჩვენი დიდი სურვილია, რომ გამოფენის დასრულების შემდეგ ამ ექსპოზიციის ნაწილი გადაეცეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და მის ბიბლიოთეკას“, — აღნიშნა კოლექციონერმა.

თსუ-ის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის ზურაბ გაიპარაშვილის თქმით, 1918-1921 წლის მარკები და ქალაქის ფულადი ნიშნები ასე სრულყოფილად ჯერ არსად ყოფილა გამოფენილი. „ამ ექსპოზიციით დამთავალიერებელი დარწმუნდება, რა ძლიერი, პერსპექტიული და კულტურულად დახვეწილი სახელმწიფო ყოფილა ჩვენი საქართველო იმ არასრული სამი წლის განმავლობაში“, — აღნიშნა ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა.

ექსპოზიცია საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების, ტფილისის უნივერსიტეტის დაარსების და პირველი ქართული ქალაქის ფულისა და მარკების გამოშვების საუკუნოვან იუბილეს მიეძღვნა.



26 მაისი და უნივერსიტეტი

წალი
საქართველოს პირველი
დემოკრატიული რესპუბლიკის
დაარსებიდან

„დამოუკიდებლობის თვისუფლება“ – ღონისძიებების ციხლი ეთნიკური უმცირესობის სტუდენტების მონაწილეობით

მარტინა ბაროშვილი

„დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე“, — ამ სახელწოდებით გაიმართა 15-26 მაისს ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ციკლი, რომელშიც, უმეტესად, ქართული ენის შესწავლის პროგრამის ეთნიკური უმცირესობის სტუდენტებმა მიიღეს მონაწილეობა. ღონისძიებების ფარგლებში ჩატარდა ესეების კონკურსი, კალიგრაფიის კონკურსი — „წერე ქართულად“, კონკურსი — „დახატე დამოუკიდებლობის 100 წელი“ და მრავალი მაგიდა თემაზე — „რაც ვიცით 26 მაისის შესახებ“.

დასკვნითი საზეიმო ცერემონია და კონკურსში გამარჯვებულების დაჯილდოება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა, სადაც გამარჯვებულებს საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა და საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში ქეთევან ციხელაშვილმა სიგელები და სპეციალური პრიზები გადასცეს. ღონისძიებას თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ნუნუ ოვსიანიკოვა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური, თსუ-ის პროფესორები, სტუდენტები, მონაწილე სტუმრები დაესწრნენ.



საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები, უპრეცედენტო ფაქტი იყო ასევე ქალების მონაწილეობა, რომელთა შორის ერთ-ერთი მათგანი აზერბაიჯანელი ქალბატონი ფარი-ხანუმ (კაციფარი) სოფიევა იყო. დღეს ჩვენ ვამაყობთ იმ ფაქტით, რომ მისი ძმის შვილთაშვილი ჩვენს უნივერსიტეტში ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე სწავლობს.

აღსანიშნავია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა უკვე მეორე წელია ფუნქციონირებს. მისასაღებელია, რომ ამ პროგრამისადმი ინტერესი ყოველწლიურად იზრდება, რაც იმის დასტურია, რომ ჩვენი ქვეყნის ეთნიკურ უმცირესობებს სურვილი აქვთ და გამოხატავენ მზაობას — ჩაერთონ ქვეყნის მშენებლობაში. საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა ამ პროგრამაში ჩართული სტუდენტების ინიციატივით, დადასტურება იმისა, რომ ჩვენ ყველანი ამ ქვეყნის შვილები ვართ, ვაფასებთ წარსულს და ერთად ვცდილობთ მომავალი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას“, — განაცხადა ნუნუ ოვსიანიკოვამ.

დამსწრე საზოგადოებას განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ლია გიგაურმაც მიმართა: „საქართველოს ეთნიკური მრავალფეროვნება ჩვენი საზოგადოების სიმდიერეა. საზოგადოების თითოეული წევრის რეალური რესურსის გამოყენებას დემოკრატიის განვითარების პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ უნდა შევექმნათ ის გარემო, სადაც მათ წარმატებისა და წინსვლის პერსპექტივა ექნებათ. ამისთვის ხორციელდება ის პროექტები, რომლის დანერგვა 2018-2019 წლიდან დაიწყება და მათი საშუალებით 60 ათასამდე არაქართველ მოსახლეს სრულიად ახალ პროგრამებს შევთავაზებთ. ეს ძირითადად შეცვლის საგანმანათლებლო პოლიტიკას, რადგან დღეს ძალზე მნიშვნელოვანია სახელმწიფო ენის გაძლიერების პროგრამა, რადგან მშობლიური ენის პარალელურ

რად ქვეყნის თითოეული მოქალაქე ინტეგრირებული უნდა იყოს ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა პროცესებში, რათა საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება შეძლოს“, — აღნიშნა ლია გიგაურმა.

სტუდენტებს თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე თეიმურაზ პაპასქირმა მიმართა: „ამ დღეებში საქართველო აღნიშნავს თავისი სახელმწიფოებრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დღის, დამოუკიდებლობის აღდგენის 100 წლის თავს. 1918 წლის 26 მაისი ნამდვილად ღირსშესანიშნავი დღე გახდა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, რადგანაც ხანგრძლივი მონობის შემდეგ, როგორც იქნა, აღდგა ქართული სახელმწიფო. ბედის ირონიით უნდა ითქვას, რომ საქართველო ოკუპირებული რომ არ ყოფილიყო რუსეთის მიერ, შეიძლება ეს პროგრამა განსახორციელებელიც არ ყოფილიყო, რადგანაც, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ამ 100 წლის განმავლობაში ეს პრობლემა არ დადგებოდა. იმედი გვაქვს, რომ უახლოეს მომავალში პროგრამის სეგმენტი შეიცვლება. დღეს ეს პროგრამა წარმატებით ხორციელდება, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, რადგანაც საქართველოს ყველა მოქალაქე თანაბრად უნდა იყოს ჩართული ქვეყნის ცხოვრებაში. მოხარული ვარ, რომ ჩვენს უნივერსიტეტს და ფაკულტეტს ამ საქმეში თავისი წვლილი შეაქვს“, — განაცხადა თეიმურაზ პაპასქირმა.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში ქეთევან ციხელაშვილმა სტუდენტებს გამარჯვება მიულოცა და აღნიშნა, რომ გარდაბანში დაგეგმილია დამოუკიდებელი საქართველოსა და მსოფლიოს პირველი მუსლიმი დემუტატი ქალის ფარი-ხანუმ სოფიევის მემორიალის გახსნა. „როდესაც ახალგაზრდების მიერ მომზადებულ ესეებს თემაზე — „დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე“ ვეცნობოდი, სიამაყის გრძნობა დამეუფლა. ამ ჩანაწერებიდან ჩანს მათი სული-

კვეთება, ჩვენი სამშობლოს სიყვარული, თავისუფლების ფასი და საერთო მომავლის ხედვა. ჩვენ ერთად უნდა ავაშენოთ ქვეყანა, სადაც ვიზრუნებთ ქვეყნის განვითარებასა და ეკონომიკურ წინსვლაზე. დღეს ვარ ამაყი იმით, რომ გვყავს ასეთი მოტივირებული, ნიჭიერი ახალგაზრდები განურჩევლად ეთნიკური და რელიგიური წარმომავლობისა, რომლებიც არიან ამ ქვეყნის სრულფასოვანი პატრიოტი მოქალაქეები და რომელთაც მომავალში ჩვენი პოლიტიკით ექნებათ ყველა შესაძლებლობა, რომ იყვნენ მაქსიმალურად ჩართულნი და რეალიზებულნი ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროში“, — აღნიშნა ქეთევან ციხელაშვილმა.

„ეს დღეები მართლაც გამორჩეულია თავისი მნიშვნელობით, მაგრამ ჩემთვის განსაკუთრებული, სასიხარულო და ამაღლებებელია ის ფაქტი, რომ ამ ზეიმს ჩემი მშობლიური უნივერსიტეტის კედლებში ვიზიარებ საქართველოს იმ მოქალაქეებთან ერთად, რომლებიც დღევანდელ და ხვალინდელ დღეს ქმნიან. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვინც ასე აქტიურად იყო ჩართული ამ მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებაში, ვინც თქვენი ფიქრი და ოცნება ჩვენი სამშობლოს გაძლიერებას დაუკავშირეთ. თითოეული თქვენგანი, რომელი ეთნიკური წარმომომავალი უნდა იყოს, აძლიერებთ ჩვენს სამშობლოს ისე, როგორც ისტორიულად ძლიერდებოდა საქართველო თავისი მრავალფეროვნებით. თქვენ უნდა იყოთ თანამშემოქმედები ამ ქვეყნის მომავლის. ჩვენი ერთი საუკუნეების მანძილზე სწორედ ამ მრავალფეროვნებით არსებობდა“, — განაცხადა შეხვედრაზე საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა.

კონკურსის ერთერთმა მონაწილემ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, მსოფლიოს პირველი მუსლიმი დემუტატი ქალის ფარი-ხანუმ სოფიევის შთამომავალმა, თსუ-ის სტუდენტმა ფარიდ სოფიევამ დამსწრე საზოგადოებას თავისი დიდი წინაპრის, ფარი-ხანუმ სოფიევის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ უამბო: „1918 წელს 34 წლის ფარი-ხანუმ სოფიევა პროპორციული სიით მსოფლიოში პირველი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არჩევითი ორგანოს წევრი მუსლიმი ქალი გახდა. ამის შესახებ იმდროინდელი ქართული პრესა სიამაყით წერდა. ისიც ცნობილია, რომ თავისუფლებისთვის ბრძოლისთვის ფარი-ხანუმმა პასუხი მკაცრად აგო. დღეს კი, ჩვენ, მის შთამომავლებს სურვილი გვაქვს გავაგრძელოთ დიდი ბებინის დაწყებული საქმე და აქტიური მონაწილეობა მივიღოთ ქვეყნის წინსვლასა და განვითარებაში. ჩვენი დიდი ოჯახის სახელით მინდა ყველას მადლობა გადავუხადო ფარი-ხანუმის ღვაწლის დაფასებისათვის“, — აღნიშნა ფარიდ სოფიევამ.

აღსანიშნავია, რომ კონკურსებში მონაწილეობდნენ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები მთელი საქართველოს მასშტაბით (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამედიცინო უნივერსიტეტი, შსს აკადემიიდან, ახალციხის, გორის, ბათუმის, ქუთაისის, თელავისა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტებიდან...)

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებელმა რესპუბლიკამ შექმნა სახელმწიფოებრიობისა და პოლიტიკური კულტურის მაღალი სტანდარტი. პირველი რესპუბლიკის მიერ მიღებული კონსტიტუცია საქართველოს ყველა მოქალაქის თანაბარ უფლებებს აღიარებდა და ამ ნიშნით იგი მსოფლიოში გამორჩეულ და განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. პირველი რესპუბლიკის პარლამენტში წარმოდგენილი იყვნენ



„აღმოაჩინა გერმანია საქართველოში“

თსუ საბავშვო უნივერსიტეტი



პრეტენზია გერმანიის

„აღმოაჩინა გერმანია საქართველოში“ — ამ სახელწოდებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „თსუ საბავშვო უნივერსიტეტის“ მხარდაჭერითა და ხელშეწყობით ტიციან ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის 43 საჯარო სკოლისა და ქალაქ ლუდვიგსბურგის გოტილენ დაიმღერის სახელობის სკოლის მოსწავლეთა გაცვლითი პროექტის პრეზენტაცია გაიმართა. როგორც პრეზენტაციის მონაწილეებმა აღნიშნეს, ქართველი და გერმანელი ხალხის ურთიერთობას შორეული ფესვები აქვს. საქართველოში გერმანელები ჯერ კიდევ 200 წლის წინ გამოჩნდნენ და მათ შესახებ მრავალი საინტერესო ცნობა მოიპოვება, ამიტომ ამ პროექტის მიზანი სწორედ ამ საინტერესო ისტორიის შესწავლა და საქართველოში იმ ადგილების მონახულებაა, რომელიც გერმანელებით იყო დასახლებული.

თსუ-ში გამართულ პრეზენტაციაზე ქართველმა და გერ-

მანელმა სკოლის მოსწავლეებმა საინტერესო მოხსენებები წარმოადგინეს: „გერმანელი კოლონისტები საქართველოში“, „გურტემბერგელი კოლონისტები კატარინენფელდში“, „პირველი ევროპელები საქართველოში“, „ქართული შრიფტი“, „ქართული სალები და საცხოვრებელი, ტრადიციები კუთხეების მიხედვით“, „მოსწავლეთა გაცვლითი პროექტის 14 დღე (შტაბეჭდილებები)“ და სხვა. როგორც პროექტის ერთ-ერთმა თანაავტორმა და ხელმძღვანელმა, თბილისის 43-ე საჯარო სკოლის დირექტორმა, განათლების საერთაშორისო ცენტრის ბენეფიციარმა სოფიო დედალაშვილიმ განაცხადა, წელს პროექტში ქართველი და გერმანელი VII, VIII და IX კლასის 34 მოსწავლე მონაწილეობს. „გერმანელი მოსწავლეები თბილისს 2 მაისს ეწვივნენ. ამ პერიოდში მათ ქართველ მოსწავლეებთან ერთად იმოგზაურეს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და დაათვალიერეს ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის ღირსშესანიშნაობები. პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების

გარდა, ასევე, მნიშვნელოვანი იყო კომუნიკაცია ქართველ და გერმანელ თანატოლებს შორის, რომლებმაც შტაბეჭდილებები გაუზიარეს ერთმანეთს და, ყოველდღიური ჩანაწერების საშუალებით, პრეზენტაციები მოამზადეს საკუთარი თვლით დანახული ისტორიული წარსულის შესახებ. პროექტის მიზანი ასევე იყო: საქართველოსა და მისი დედაქალაქის — თბილისის გაცნობა და პოპულარიზაცია უცხოელი ახალგაზრდებისთვის, ქართველი და გერმანელი ხალხის 200 წლიანი მეგობრობის ამსახველი მასალის გაცნობა, გერმანელების საცხოვრებელი ადგილების მონახულება საქართველოში და, ამავე დროს, კულტურული მემკვიდრეობის წარმოდგენა უცხოელი სტუმრებისათვის“, — აღნიშნა სოფიო დედალაშვილი.

43-ე საჯარო სკოლის მოსწავლემ ნია არღვლიანმა თავისი შტაბეჭდილებები თანატოლებს გაუზიარა: „ასურეთი რომ ძველ მსოფლიო ისტორიაში ის ქვეყანა იყო, რომელმაც პირველად ჩვენი დიაოხი მოიხსენია, ეს ყველა იმ ადამიანმა

იცის, ვისაც ისტორია უსწავლია, ამიტომ სახელწოდება — ასურეთის გაგებისას, პირველ რიგში, ძველამოსილი ასურბანიფალი მახსენდებოდა. ასურეთი თეთრწყაროს რაიონში მდებარეობს და აქ სწორედ მე-19 საუკუნეში, გენერალ ერმოლოვის ბრძანებით ჩამოსახლდნენ შვაბიებიდან გერმანელები, კერძოდ, 1400 ოჯახი (სულ 7000-მდე ადამიანი). მათი უმეტესობა ხელოსნები, არქიტექტორები იყვნენ... მაშინ დღევანდელ ასურეთს — ელიზაბეტტალს, ელიზაბეტის ხეობას ეძახდნენ, ხოლო რაც შეეხება დღევანდელ სახელწოდებას — ასურეთს, ის ჯერ კიდევ კვლევის საგანია. თუმცა სხვა ვერსიაც არსებობს: ძველად თურმე აქ საურებს ამზადებდნენ და, შესაძლებელია, სახელწოდებაც აქედან მოდიოდეს... ეს ამბავი კი ჩვენმა პედაგოგმა ქეთი მიქიაშვილმა გვიამბო, რომელიც 10 მაისს, ერთ საოცრად წვიმიან დღეს, სოფლის უღამაზეს ქუჩასთან დაგვხვდა და ძალიან ბევრი საინტერესო ისტორია მოგვიყვა... მაგალითად, სახელწოდება ელიზაბეტთალი ალექსანდრე პირველის

ცოლის, ელიზაბეტის სახელიდან მომდინარეობს, რომელიც წარმოშობით ასევე გერმანელი იყო.“

„თსუ საბავშვო უნივერსიტეტის“ ხელმძღვანელმა მარინა ლომოურმა პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრა. „ჩვენი აზრით, ასეთი პროექტების განხორციელებას მომავალი თაობების აღზრდაში დიდი მნიშვნელობა აქვს. „თსუ საბავშვო უნივერსიტეტი“ მზად არის — ხელი შეუწყოს ყველა იმ სასიკეთო ინიციატივას, რომელსაც სკოლის მოსწავლეები გამოიჩენენ. ეს, უპირველეს ყოვლისა, საქიროა მათი მომავლისთვის და სწორი ორიენტირებისთვის. პროექტის მონაწილეებისათვის გაიმართა კონცერტი ანსამბლ „გორდელას“ შესრულებით, ჩატარდა რამდენიმე სპორტული ღონისძიება, რისთვისაც მადლობა გვინდა გადავუხადოთ თსუ-ის კულტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელებს. „თსუ საბავშვო უნივერსიტეტი“ ასეთ სასიკეთო ინიციატივებს მომავალშიც მხარს დაუჭერს და წახალისებს“, — აღნიშნა მარინა ლომოურმა.

ეკონომიკის ფაქტობრივი ახალი წიგნი ითარგმნა

თარგმანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი აქტიურად ეწევა მსოფლიოს პრესტიჟულ უნივერსიტეტში აპრობირებული სახელმძღვანელოების თარგმნასა და მომზადებას, რათა ქართველმა სტუდენტებმა შეძლონ საერთაშორისო დონის სახელმძღვანელოების მშობლიურ ენაზე სწავლა. სწორედ ამ მიზნით 22 მაისს თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ფრედ რ. დევიდისა და ფორესტ რ. დევიდის ერთობლივი სახელმძღვანელოს — „სტრატეგიული მენეჯმენტი — ცნებები და ვითარებები“ ქართულენოვანი თარგმანის პრეზენტაცია გაიმართა.




ნიგნი თსუ-ის გამომცემლობამ გამოსცა. თარგმანი დაფინანსდა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს წიგნების თარგმნის პროგრამის ფარგლებში. პროექტი წარადგინა თსუ-ის პროფესორმა, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა გიორგი ლალანიძემ. პრეზენტაციას თსუ-ის რექტორის მოადგილე ალექსანდრე ცისკარიძე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ნუნუ ოვსიანიკოვა, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი გიორგი ლალანიძე, მონწეული სტუმრები, სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები ესწრებოდნენ.

„დარწმუნებული ვარ, ჩვენი სტუდენტებისა და პროფესორებისთვის ეს წიგნი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახელმძღვანელო იქნება. ვფიქრობ, ამით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტმა სერიოზული განაცხადი გააკეთა სწავლის სარისხის კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აყვანისთვის. სახელმძღვანელო საშუალებას მისცემს სტუდენტებს საგანი

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ისწავლონ“, — განაცხადა ალექსანდრე ცისკარიძემ. „სახელმძღვანელო „სტრატეგიული მენეჯმენტი — ცნებები და ვითარებები“ გლობალური გამოცემაა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი ცდილობს სტუდენტებს მიაწოდოს ისეთი სასწავლო ლიტერატურა, რომელიც აქტუალური და საინტერესოა დღეს. ამ სახელმძღვანელოთი ასწავლიან ამერიკისა და დასავლეთ ევროპის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში. ჩვენც სწორედ ეს მიზანი გვქონდა — სტრატეგიულ მენეჯმენტში ყველაზე თანამედროვე სახელმძღვანელო გვეთარგმნა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს სწორედ ასეთ სახელმძღვანელოზე ჰქონოდათ წვდომა“, — აღნიშნა ფაკულტეტის დეკანმა გიორგი ლალანიძემ. ორი ათეული წლის განმავლობაში წიგნი, სტრატეგიული მენეჯმენტის გადასახედი-

დან, გამოყენებითი ასპექტების, პრაქტიკული მიდგომების მხრივ საგრძნობლად დაიხვეწა. წლების განმავლობაში 500-ზე მეტმა კოლეჯმა და უნივერსიტეტმა გამოიყენა ეს სახელმძღვანელო. კერძოდ, ამით სარგებლობენ შარვარდის, ჯონს ჰოპკინსის, მერილენდის, კაროლინას, სან-ფრანცისკოს, იაპონიის, ჩინეთის, ავსტრალიის და ახლო აღმოსავლეთის უამრავ უნივერსიტეტში. სახელმძღვანელოს ქართული გამოცემის სამეცნიერო რედაქტორია პროფესორი შალვა მაჭავარიანი, მთარგმნელობითი ჯგუფის შემადგენლობაში შედიან: თსუ-ის პროფესორი გიორგი ლალანიძე, თსუ-ის ასოცირებული პროფესორი ბადრი რამიშვილი და სეუ-ის პროფესორი გელა გრიგოლაშვილი. „ამ სახელმძღვანელოს მთელს მსოფლიოში ნდობა აქვს გამოცხადებული. ის სტრატეგიული გეგმის ეფექტიანი ჩამოყალიბებისა და განხორციელებისათვის საჭირო უახლეს უნარ-ჩვევებს და იდეებს სთავაზობს მენეჯერებს.“



როდესაც აღამიანი ნათელ ჯვალს დატოვებს, მას სიყვარული ბუმბარაგვით უბრუნდება

ბრწყინვალე პატარა 90


შარტხია ბაროკვილი

„ ისეთი პატარა ვიცი, რომ გორიც არის საქართველო, ზნეობრიობისა და სახელმწიფოებრიობის გარეშე ვერ გადარჩება... ერის ხასიათის, მისი ფსიქიკის, მისი სულიერი ინტელექტუალური შესაძლებლობებისა და მიზანსწრაფვის შეცნობის ერთადერთი მყარი წინაპირობაა მის მიერ განვლილი გზის გაზრება და ამ გზაზე შექმნილ სულიერ მემკვიდრეობაში ჩაღრმავება. ანმის შეცნობისა და მომავლის განჭვრეტის საფუძველად საფუძველია წარსულის გაცნობიერება, გამოწვევლივით გაზრება...“ — ეს სიტყვები ცნობილ ქართველ მეცნიერს რევაზ ბარამიძეს ეკუთვნის, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა მისთვის სიტყვების დადასტურება იყო. ეს აღიარებს კიდევ მ მისი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სხდომათა დარბაზში გამართულ საღამოზე, რომელიც მეცნიერის 90 წლისთავს მიეძღვნა. ამავე ღონისძიებაზე მისი ფუნდამენტური სამეცნიერო ნაშრომის — „სახელმწიფოებრივი ცნობიერება და ზნეობრივი იდეალი“ წარდგინება გაიმართა.



ზნეობრივი იდეალი“ მეშვეობით, რომელიც თავისი შინაარსით, მართლაც, მნიშვნელოვანი და გამორჩეულია. თავის მეცნიერულ ნაშრომებსა თუ ნარკვევებში სწორედ ის ორიენტაციებია, რომელსაც იგი ეყრდნობოდა და რომელსაც თითოეული ჩვენგანი უნდა ეყრდნობოდეს. ამ წიგნზე მუშაობის პროცესში მისი ნაშრომების გაცნობისას კიდევ ერთხელ გაგაცნობიერეთ, რომ ეს იყო არა მარტო მეცნიერის თვალთა დანახული საკითხები, არამედ „ცოცხალი“ მუხტის შემცველი ნარკვევები თუ პუბლიცისტური წერილები, რომლებიც არა მარტო სტუდენტებისთვის, არამედ მთელი საზოგადოებისათვის არის განკუთვნილი. წიგნში ნათლად იკვეთება მეცნიერის ინტერესების მრავალფეროვნება და მრავალმხრივობა. რევაზ ბარამიძე იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებმაც ჩვენამდე მოიტანეს საქართველოს წამდვილი ისტორია. წიგნის ბოლოს გამოქვეყნებულია კორნელი კეკელიძის წერილი, რომელიც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ იგი თავისი დიდი მასწავლებლის ღირსეული მოწაფე იყო. თვითონაც გამორჩეული პედაგოგი გახლდათ, სანიშნუი იყო მისი ურთიერთობა ახალგაზრდებთან — საოცარი უნარი ჰქონდა თავის გარშემო შემოეკრიბა აუდიტორია და მათზე სასიკეთო გავლენა მოეხდინა. რევაზ ბარამიძის ყველა ნაშრომი თუ ქმედება უკავშირდებოდა თავისი ქვეყნის ბედს და სახელმწიფოებრივ ცნობიერებას ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც არ გვექნოდა მოპოვებული დამოუკიდებლობა. მისი სამეცნიერო მოღვაწეობა და საზოგადოებრივი საქმიანობა სწორედ ამ იდეის განხორციელებას ემსახურებოდა“, — აღნიშნა როსტომ ჩხეიძემ.

საიუბილეო საღამოს ესწრებოდა სასულიერო აკადემიის რექტორი, პროფესორი მამა გიორგი ზვიადაძე, რომელმაც მეცნიერის დასასახურებლად ისაუბრა და საზოგადოებას სრულიად საქართველოს პატრიარქის ილია მეორეს წერილი გააცნო. „1988 წელს, როდესაც სასულიერო აკადემია დაარსდა, პატრიარქის მონაწილეობით ბატონმა რევაზ ბარამიძემ ძველი ქართული ლიტერატურის კათედრაზე დაიწყო მუშაობა. რევაზ ბარამიძე სასულიერო აკადემიაში წლების მანძილზე მოღვაწეობდა. სასულიერო პირების სახელით მიწადა, მის მიმართ დიდი პატივისცემა გამოვხატო, რადგან სწორედ მისგან ვსწავლობდით ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიას. მისი ნამოღვაწის ერთი თვალის გადავლებით ჩანს მეცნიერის ღრმა აზროვნება, მისი აკადემიზმი, პროფესიონალიზმი, პატიოსნება და მისი თავდადება საყვარელი საქმის მიმართ. იგი ნათლად აცნობიერებდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სასულიერო აკადემიაში მის საქმიანობას. ქართული სასულიერო აკადემიის წინაშე მისი როლი მნიშვნელოვანია, ამიტომ მთელი ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით გვიწოდებ ჩვენი მადლიერება გამოვხატოთ მის მიმართ და გაგაცნოთ პატრიარქის სიტყვა: „ბატონი რევაზ ბარამიძე ქართველ მეცნიერთა იმ გამორჩეული თაობის წარმომადგენელია, რომლებიც ათეისტური რეჟიმის პირობებში ახალგაზრდებში სარწმუნოების აღორძინებასა და განვითარებას უწყობდნენ ხელს. მას შემდეგ მან კიდევ უფრო მკვეთრი ნაბიჯი გადადგა. თბილისის სასულიერო აკადემიაში განაგრძო პედაგოგიური მოღვაწეობა და სიცოცხლის ბოლომდე ემსახურა ახალგაზრდების აღზრდის




რევაზ ბარამიძე 1928 წელს დაიბადა ცნობილი პედაგოგის ბრიგოლ ბარამიძის ოჯახში. 1950 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. რევაზ ბარამიძე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აღრეული და შუა საუკუნეების ქართული ლიტერატურის, კერძოდ, კვაზიმოდორის კვალიერებაში. მის ნაშრომებთან განსაკუთრებით აღსანიშნავია გამოკვლევები — იაკობ ხუცესის „შუბანიის ნამება“, ბიორგი მერჩულას „ბრიგოლ ხანქმთელის ცხოვრება“, ასევე, ნაშრომები ფარნავაზ მკვირის შესახებ. იყო 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და 100-ზე მეტი მოწოდების ავტორი. იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა შიშა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის კვლევითი ქართული ლიტერატურის განყოფილებას. ასწავლიდა ცხინვალის უნივერსიტეტში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თბილისის სასულიერო აკადემიაში. ამავე დროს ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. იყო ევროპის რიგი უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი. წარმატებული სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისთვის რევაზ ბარამიძე დაჯილდოვდა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდებითა და „აღნიშნა ივანე ამირხანაშვილმა“ — აღნიშნა ივანე ამირხანაშვილმა.

საზიად სხდომა აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა გახსნა, რომელმაც ვრცლად ისაუბრა მეცნიერის ცხოვრებაზე და სამეცნიერო საქმიანობაზე. „რევაზ ბარამიძე მთელი თავისი ცხოვრება მეცნიერებას მიუძღვნა. ვინც მას იცნობდა, დაგვითანხმებდა, რომ იგი არა მარტო დიდი მეცნიერი, არამედ, სიკეთითა და სიყვარულით სავსე პიროვნება იყო. კორნელი კეკელიძის გამორჩეულმა მოწაფემ წარმატებულად განაგრძო ქართული ლიტერატურის კვლევა, ამ კუთხით მან დიდი მუშაობა გასწია. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მისი სამეცნიერო საქმიანობა დაკავშირებული იყო საზოგადოებრივ საქმიანობასთან — თავმდაბალი და მოკრძალებული პიროვნება შეუვალი და პრინციპული ხდებოდა, როდესაც საქმე ქვეყნისათვის საჭირობო საკითხს შეეხებოდა. სამწუხაროდ, როდესაც რევაზ ბარამიძე გარდაიცვალა, საქართველოში იმ დროს დატრიალებული მოვლენების გამო, მისი შვილი გიგლა ბარამიძე ვერ დაესწრო მამის დაკრძალვას. სასიამოვნოა, რომ დღეს შთამომავლობა, მონაწილეები და კოლეგები აფასებენ მის ღვაწლს“, — განაცხადა როინ მეტრეველმა.

საზიად ღონისძიებას მწერალი როსტომ ჩხეიძე უძღვებოდა, რომელმაც ახლადგამოცემული ნაშრომის მნიშვნელობაზე ისაუბრა: „დღევანდელი დღე მრავალი ნიშნით არის მნიშვნელოვანი. რევაზ ბარამიძე დღეს, გარკვეულწილად, „მონაწილეა“ ამ შეკრებისა წიგნის — „სახელმწიფოებრივი ცნობიერება და

მნიშვნოს სიძლიერაო — ამ სიტყვებს ხშირად იმეორებდა და არჩილ მეფის ფრაზას იმონებდა: „გლეხი კაცი თუ ამოწყდა, საქართველო დაძაბუნდაო!“. მისი ბევრი პროგნოზი დღეს გამართლდა. გრიგოლ ფერაძის სიტყვებსაც ხშირად მახსენებდა: „დადგება დრო, როდესაც ქართულ განძს და მიწას მეგობრულად მოსულნი სხვათა დაპატრონების მსურველნი გაუჩნდებიან და ჩვენ უნდა ვიყოთ ძალიან მკაცრები და მყარები ამ თვალსაზრისით“. გული სტკიოდა ფსევდოდემოკრატიულ გამოვლინებებზე. სხვა ბევრ საჭირობო საკითხებზეც ხშირად ვსაუბრობდით. როდესაც ამ წიგნზე ვმუშაობდით, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ მისი მდიდარი სალიტერატურო ენა დღესაც არ მოქველდება, იგი აქტიურად ადევნება თვალს და, ასევე, კარგად იცოდა თანამედროვე სამეცნიერო მიმდევები. მოგზაურობდა სხვადასხვა კუთხეებში, განსაკუთრებით უყვარდა საინგილოდანი და ფრედიანინი ჩამოსული ქართველები, რომლებიც ხშირად სტუმრობდნენ ჩვენთან. ერთს თავისი გვარიც კი მისცა — მასთან დღემდე თბილი ურთიერთობა გვაქვს. ძალიან ახარებდა თავისი მოსწავლეების წარმატება. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მის იუბილეზე ბევრი მოლოცვა მივიღეთ, მათ შორის უცხოეთში მოღვაწე მეცნიერებისაგან. როდესაც ადამიანი ნათელ კვალს დატოვებს, მას სიყვარული ბუმბარაგვით უბრუნდება“, — ასე განიხსენა მამა გიგლა ბარამიძე.





საერთაშორისო კონფერენცია ვარძიში

3 არძიის სამონასტრო კომპლექსში პიტ რივერსისადმი მიძღვნილი ახალგაზრდა არქეოლოგთა რიგით მე-10 საიუბილეო საერთაშორისო კონფერენციის დახურვის ღონისძიება გაიმართა. კონფერენცია, რომელიც 24 მაისს გაიხსნა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პუბლიკაციურ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიის სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის ორგანიზებით მე-10 წელია იმართება. წელს კონფერენციაში მონაწილეობას 13 ქვეყნის სხვადასხვა უნივერსიტეტი იღებდა.

ღონისძიებას თსუ რექტორი გიორგი შარვაშიძე და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ. გიორგი შარვაშიძემ თსუ-ის არქეოლოგიური ინსტიტუტის ხელმძღვანელი ვახტანგ ლიჩელი და ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი მაიკლ ვიკერსი უნივერსიტეტის საიუბილეო მედლით დააჯილდოვა.

თსუ-ის რექტორმა იმედი გამოთქვა, რომ აღნიშნული კონფერენცია მრავალი წლის განმავლობაში გაგრძელდება. „ძალიან საინტერესო კონფერენცია ტარდება ვარძიში. მეცნიერების პოპულარიზაცია ჩვენი განვითარების მაგისტრალური ხაზია. ბევრი საშუალება, რომელიც ახალგაზრდა სპეციალისტებს, მეცნიერებს ექნებათ ალბათ უფრო გააძლიერებს ამ მიმართულებას“, — აღნიშნა თსუ-ის რექტორმა. მისივე ინფორმაციით, სექტემბერში მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის ფარგლებში თსუ-ში ევროპის აკადემიის წარმომადგენლობა გაიხსნება, რომელიც ახალგაზრდა მეცნიერებს, მათ შორის არქეოლოგიის მიმართულების წარმომადგენლებს, დიდ საგრანტო პროგრამებში ჩართვის და კვლევების განხორციელების საშუალებას მისცემს.

თსუ-ის არქეოლოგიური ინსტიტუტის ხელმძღვანელმა ვახტანგ ლიჩელმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. „კონფერენციის საშუალებით ახალგაზრდა ქართველი არქეოლოგები საკუთარი კვლევის შედეგებს წარმოადგენენ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ამ 10 წლის მანძილზე მხარს უჭერს ჩვენს კონფერენციას და მათ საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაციას უწყობს ხელს“, — აღნიშნა ვახტანგ ლიჩელმა.

კონფერენციაში მე-10 წელია მონაწილეობს ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი მაიკლ ვიკერსი. როგორც მან აღნიშნა, კონფერენცია, რომელიც უნივერსიტეტის პატარა აუდიტორიიდან დაიწყო, წლებია წარმატებით ხორციელდება ვარძიში. „კონფერენცია რომ წარმატებულია სტუდენტთა მიერ წარმოდგენილი კვლევების ადასტურებს, რომელთა ხარისხი ყოველწლიურად მატულობს“, — განაცხადა მაიკლ ვიკერსმა.

ვარძიის XII-XIII საუკუნეების სამონასტრო კომპლექსში კონფერენციის მსვლელობის დროს, გარდა მოხსენებებისა, გაიმართა დისკუსიები არქეოლოგიასა და მომიჯნავე დარგებში განხორციელებული კვლევების შესახებ, დაისახა სამეცნიერო პრობლემათა გადაწყვეტის გზები.

ვარძიის კონფერენცია უკვე დიდი პოპულარობით სარგებლობს ევროპისა და აშშ-ს უნივერსიტეტებში. კონფერენციას ყოველწლიურად სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტების, მუზეუმების, სასწავლო-კვლევითი ცენტრების წარმომადგენლები ესწრებიან. ახალგაზრდა მკვლევრების მოხსენებებს აფასებენ მუდმივი სამეცნიერო კომისიის წევრები: თსუ-ს, ოქსფორდის, იენის, ინსბრუკის, ედინბურგისა და ვენეციის უნივერსიტეტების პროფესორები.



ვარძიის ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია ხელს უწყობს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელ ახალგაზრდა არქეოლოგთა შორის კონტაქტების დამყარებას, მათი კვლევების პოპულარიზაციას მსოფლიო სამეცნიერო ბაზარზე და შესაბამისად, ქართველი სტუდენტი-არქეოლოგების საერთაშორისო სივრცეში ინტეგრაციას.

უპრაინული ჯოები ჰალინა ჩოუხი უპრაინისტიის ინსტიტუტში

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ტრადიციად დამკვიდრდა უკრაინულ მწერლებთან და პოეტებთან შეხვედრა თსუ-ის უკრაინისტიკის ინსტიტუტში. ჰალინა კრუცი მესამე მწერალია, რომელსაც უკრაინისტიკის ინსტიტუტი მასპინძლობს.

იგი საკმაოდ ცნობილი პოეტიცა, როგორც უკრაინაში, ისე მის საზღვრებს გარეთაც. ჰ. კრუცის შემოქმედება თარგმნილია ინგლისურ, გერმანულ, პოლონურ, ლიტვურ და მრავალ სხვა ენაზე, მათ შორის ქართულადაც. მთარგმნელები არიან შ. იათაშვილი, მ. ხასაია, გ. ხასაია. ჰ. კრუცის ლექსების ქართული თარგმანები დაბეჭდილია ჟურნალ „ახალ საუნჯეში“.

შეხვედრა საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა. „მოვდიოდი თბილისში და ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ საქართველოში უკრაინული კულტურის ასეთი ძლიერი კერა დამხვდებოდა“, — აღნიშნა უკრაინელმა პოეტმა შეხვედრის დასაწყისში.

გაიმართა საუბარი-დისკუსია თანამედროვე ლიტერატურული პროცესების, არსებული პრობლემების შესახებ უკრაინასა და საქართველოში. შეხვედრაზე განხილული იყო პოსტსაბჭოთა პერიოდის უკრაინული ლიტერატურული პროცესის ძირითადი პრობლემების კულტუროლოგიური ასპექტები, მიმდინარე ლიტერატურული პროცესის საკითხები. უკრაინელმა პოეტმა ისაუბრა თანამედროვე ლიტერატურის გამოწვევებზე, ე.წ. „მცირე“/„პატარა“ ლიტერატურების განვითარების სტრატეგიებზე ინტენსიური ინტეგრაციული პროცესებისა და გლობალიზაციის პირობებში. შეხვედრისას არაერთხელ აღინიშნა, რომ როგორც ქართული, ისე უკრაინული ლიტერატურის განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესი ვექტორია მთარგმნელობითი პროცესის მხარდაჭერა, რათა ჩვენი ქვეყნების მწერლობა მსოფლიო მიმღებ კულტურებზე არ დარჩეს. ხარისხიანი თარგმანების პირობებში ქართული და უკრაინული კულტურა კაცობრიობის კულტურულ საგანძურში სათანადო ადგილის დაკავებას უკეთ შეძლებენ. სწორედ თარგმანების გზით მხერხდება საკუთარი მონაპოვრის გაზიარება ცივილიზებული სამყაროსათვის — აღინიშნა შეხვედრის დროს.



ვებზე, ე.წ. „მცირე“/„პატარა“ ლიტერატურების განვითარების სტრატეგიებზე ინტენსიური ინტეგრაციული პროცესებისა და გლობალიზაციის პირობებში. შეხვედრისას არაერთხელ აღინიშნა, რომ როგორც ქართული, ისე უკრაინული ლიტერატურის განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესი ვექტორია მთარგმნელობითი პროცესის მხარდაჭერა, რათა ჩვენი ქვეყნების მწერლობა მსოფლიო მიმღებ კულტურებზე არ დარჩეს. ხარისხიანი თარგმანების პირობებში ქართული და უკრაინული კულტურა კაცობრიობის კულტურულ საგანძურში სათანადო ადგილის დაკავებას უკეთ შეძლებენ. სწორედ თარგმანების გზით მხერხდება საკუთარი მონაპოვრის გაზიარება ცივილიზებული სამყაროსათვის — აღინიშნა შეხვედრის დროს.

უკრაინისტიკის ინსტიტუტი

იუბილეს უნივერსიტეტის სტუდენტ-ქალაქის გამოცხადება

მიმდინარე წელს საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წელი შესრულდა. აღნიშნულ იუბილეს ღირსეულად შეხვდა ჩვენი ქვეყანა. ყველამ პატივი მიაგო საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის შემოქმედებს. ამ საერთო განწყობას ჩვენც — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტ-ქალაქის ტემპაც აუბით მხარი. სტუდენტ-ქალაქის

ადმინისტრაციის ორგანიზებით გაიმართა სხვადასხვა სახის ღონისძიებები. მოეწყო გუგული მგელაძის ფილმის ფესვები“ ჩვენება. ჩატარდა სპორტული ტურნირები ფეხბურთში, მკლავჭიდა და ჭადრაკში. ფეხბურთის ტურნირში გაიმარჯვა ბაგების სტუდენტ-ქალაქის I კორპუსის გუნდმა „პირველი მერცხალი“ (კაპიტანი თორნიკე თორთლაძე), ჭადრაკში I ადგილი დაიკავა გიორგი ჩომახიძემ, II ადგილი ლევან გაფრინ-

დაშვილმა, ხოლო III ადგილი გიორგი მამალაშვილმა. მკლავჭიდაში პირველობა არაგვის დაუთმო გიორგი ოგანეზოვმა, II ადგილი დაიკავა ნოდარ მამუკელაშვილმა, ხოლო III ადგილი დასჯერდა გიორგი ჯინჭარაძე. სპორტული ღონისძიებების გამარჯვებულებსა და პრიზორებს გადაეცათ სიმბოლური საჩუქრები. დამოუკიდებლობის დღისადმი პატივის მიცემის გარდა, სპორტული ღონისძიებები მიზნად ისახავდა

ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას. ზემოთხსენებული ღონისძიებების ორგანიზებისთვის სტუდენტ-ქალაქის სტუდენტების სახელით მინდა მადლობა გადაუხადო სტუდენტ-ქალაქის ხელმძღვანელს ბატონ ზაზა ნაქაძეს, ადმინისტრაციის თანამშრომლებს აზა ბენიძეს და კობა კაპანაძეს.

ცისკარა თავხელია,
I კურსის სტუდენტი



უნივერსიტეტის თეატრი 100 წლისაა

შარტონია ბაროშვილი

როგორც გამოფენის ორგანიზატორმა, თსუ-ის ბიბლიოთეკის თანამშრომელმა, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორანტმა სალომე ჭანტურიძემ გვიხსნა, ახალდაარსებულ უნივერსიტეტში შემოქმედებითი ცხოვრება პირველივე წლებიდან დაიწყო და საფუძველი ჩაეყარა თეატრალურ დასს, რომელსაც არასდროს შეუწყვეტია არსებობა. მისივე ინფორმაციით, „ერთ-ერთი პირველი ღონისძიება, რომელსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გამოეხმაურა, ეს იყო იმ დროს ცნობილი მსახიობის ვიქტორ გამყრელიძის სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილე. ამ ღონისძიების შესახებ ცნობები შემონახულია პროფესორთა საბჭოს ოქმებში, რომელიც 1918 წლით თარიღდება და ცხადყოფს, რომ ეს იყო ექვთიმე თაყაიშვილის, ივანე ჯავახიშვილის, პეტრე მელიქიშვილის, იოსებ ყიფშიძის ერთობლივი ინიციატივა და გადამწყვეტილება. მომდევნო ღონისძიებაც ასევე იმდროინდელი ქართველი ქალი მსახიობის ნინო ჩხეიძის სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილეს უკავშირდება. სწორედ ამავე პერიოდში კი უნივერსიტეტში მუსიკალური საზოგადოება გაიხსნა, რომლის პედაგოგად კომპოზიტორი კოტე ფოცხვერაშვილი მოინიჭეს. თეატრალურ საზოგადოებას კი ალექსანდრე წუნუნავა ხელმძღვანელობდა. ამ ფაქტს იმდროინდელი პრესა აქტიურად აშუქებდა, თუმცა ბევრი ცნობა და მასალა საბჭოთა პერიოდში დაიკარგა, რადგან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდის იგნორირება მოხდა. 1919 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსდა ქართული მუსიკის კათედრა, ლექტორად კი იმ დროს უკვე ძალიან ცნობილი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიის ავტორი, კომპოზიტორი კოტე ფოცხვერაშვილი მიიწვიეს. თსუ-ის დასის სპექტაკლებს მუსიკალურად სწორედ კოტე ფოცხვერაშვილი აფორმებდა. მომდევნო წლებში თსუ-ის თეატრალური დასი კვლავ ფუნქციონირებდა და მრავალი სპექტაკლი დაიდგა. უნივერსიტეტში თეატრალური ცხოვრება ყოველთვის სტუდენტების და პროფესორ-მასწავლებლების ერთობლივი ძალისხმევით აგრძელდებოდა თავის არსებობას“.

„3 ვირა, 2 ნოემბერი, 1918 წელი — გაზეთი „ერთობა“... დრამატული განყოფილება სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაიხსნა 3 ნოემბერს... რადგან მსურველთა რიცხვი დიდია, ამის გამო მიღება მოხდება გამოცდებით სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე აუდიტორიაში... დრამატული წრის ხელმძღვანელია სახელმწიფო თეატრის კომისარი ალექსანდრე წუნუნავა...“ — ამ საუკუნოვანი თეატრის ისტორია ძველი აფიშებიდან და პლაკატებიდან ცოცხლდება. დღემდე საზოგადოების დიდი ნაწილისთვის უცნობი იყო ის ფაქტი, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსების პირველი წლებიდან აქ შემოქმედებითი ცხოვრება დაიწყო და მრავალი თაობა აღიზარდა უნივერსიტეტის სცენაზე. სწორედ ამ ფაქტის დადასტურება იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოწყობილი გამოფენა „უნივერსიტეტის თეატრი — 100“, რომელსაც თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე და მონაწილე სტუმრები დაესწრნენ.



ბობას“, — აღნიშნა სალომე ჭანტურიძემ. როგორც თსუ-ის თეატრალური დასის „სხენის“ რეჟისორმა გოგი გომურაშვილმა განაცხადა, უნივერსიტეტის თეატრალური დასის ხელმძღვანელობა დიდი პასუხისმგებლობაა, რადგან საუკუნოვანი ტრადიცია ღირსეულად გაგრძელდეს: „ეს გამოფენა მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ უკეთესად გაიცნოთ ჩვენი წარსული. ბევრი ფაქტი და მოვლენა ჩემთვისაც ახალი და მოულოდნელი იყო. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასს ბოლო 20 წელია ვხელმძღვანელობ და ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ გავაგრძელო ჩვენი წინაპრების დაწყებული საქმე“, — განაცხადა გოგი გომურაშვილმა. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა წლებში დასის მოღვაწეობის ამსახველი ფოტოები, აფიშები, თეატრალური ესკიზები, ჟურნალ-გაზეთები, სიგელები, თეატრალური კოსტიუმები.

აღსანიშნავია, რომ მათ შორის იყო თსუ-ის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის ზურაბ გაიპარაშვილის თეატრალური ესკიზებიც. იგი 80-იან წლებში სტუდენტური თეატრის მხატვარი იყო. „მართლაც მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაარსდა, იმ პერიოდიდანვე ჩაეყარა საფუძველი შემოქმედებით ცხოვრებას. პირველი სტუდენტური წარმოდგენები კი დაკავშირებული იყო საქველმოქმედო საქმიანობასთან. 1918 წელს შექმნილი სტუდენტური სტუდია 1919 წელს თეატრალურ დასად ჩამოყალიბდა და მას მერე ბევრი თაობა აღიზარდა ამ კედლებში. სასიხარულოა, რომ თსუ-ის თეატრალური დასი დღესაც აგრძელებს სიცოცხლეს. გამოფენაზე ფოტოების მეშვეობით ლაქონურად არის წარმოდგენილი ის ასწლოვანი ისტორია, რომელიც ჩვენმა თეატრმა განვლო“, — აღნიშნა ზურაბ გაიპარაშვილმა.

„იშვიათია უნივერსიტეტი, რომელსაც ასწლოვანი თეატრალური დასი ჰყავდეს. უნივერსიტეტის დაარსების დღიდან ჯერ შეიქმნა სტუდენტური წრე, რომელსაც მოჰყვა თეატრალური დასის დაარსება და ჩამოყალიბება. მისასაღებელია, რომ სტუდენტური თეატრი დღესაც აქტიურია და იგი უამრავი საერთაშორისო სტუდენტური ფესტივალის გამარჯვებულია. ჩვენი მსახიობები თითქმის ყოველ წელს გვანებივრებენ თავიანთი წარმატებებით. მნიშვნელოვანია, რომ თეატრის ასწლოვანი ტრადიცია კვლავაც გრძელდება, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა, გიორგი შარვაშიძემ. გამოფენაზე სხვა ექსპონატებთან ერთად წარმოდგენილი იყო კოტე ფოცხვერაშვილის პირადი ნივთები და მასალები საოჯახო არქივიდან, მათ შორის: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიის დიპლომა პირველი გამოცემა, 1918 წელს ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით გამართული კონცერტებისა და საღამოების პროგრამები, მისი პირადი საკუთრება — სახარება, დავითნი“, დაირა და სხვა. გამოფენის გახსნას დაესწრო კოტე ფოცხვერაშვილის შვილიშვილი ცირა ბერიძე, რომლის ინფორმაციით, უნივერსიტეტის პირველ თეატრალურ დასში თამაშობდნენ დედა — ნათელა ფოცხვერაშვილი, მისი ბიძა ზაქარია ჩლაიძე და პეტრე გრუზინსკი. ღონისძიებაზე სტუდენტური თეატრის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის თსუ-ის რექტორმა უნივერსიტეტის მედლით დააჯილდოვა სტუდენტური თეატრის სხვენის რეჟისორი გიორგი გომურაშვილი და სტუდენტური თეატრის რეჟისორი 80-იან წლებში დალი კლავტოზიშვილი. გამოფენა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 100 წლის იუბილეს მიეძღვნა.



მთავარი რედაქტორი
ნინო კაკულია
მთავარი სამცხალისტი
მაია ტორაძე
ტექნიკური რედაქტორი
მანანა ჯურხაძე

შურნალისტები:
ნატო ობოლაძე
თამარ დადიანი
შურთია ბეროშვილი

ფოტოკომპოზიტორი
ანა ბოლქვაძე
კომპ. უზრუნველყოფა
ზაზა გულაშვილი

რედაქციის წევრები:
იაგო კაჭკაჭიშვილი,
მანანა შამილოშვილი,
თინათინ მარგალიტაძე,
თინათინ ბოლქვაძე,
ეთერ ხარაიშვილი,
რევაზ გველეხიანი,
ირაკლი იმედაძე,
გიორგი ჯაიანი,
თემურ ნადარეიშვილი,
მორის შალიკაშვილი,
მაია ივანიძე,
ვლადიმერ მარგველაშვილი,
გიორგი ლობჯანიძე,
ეკა კვიციანი

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 13
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
2 22 36 62
ვებგვერდი:
newspaper.tsu.edu.ge
ელ.ფოსტა:
tsunewspaper@tsu.ge



1 ოქტომბრიდან
გადავა „უნი-პრესი“
გაღის რეგიონალ
ტელევიზიაში, რასაც
საქართველოს
რეგიონალ
მაუწყებელთა ასოციაცია
უზრუნველყოფს (თსუ-სა
და საქართველოს
რეგიონალ მაუწყებელ-
თა ასოციაციასთან
გაფორმებული მემორ-
ანდუმის თანხადა).